პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 71 (11377)
პარასკევი
27
მარტი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

დღეს ნომერში:

საბჭოთა მთავრობის განცხადება ირანთან, თურქეთთან და პაკისტანთან ამერიკის შეერთებული შტატების ორმხრივ სამხედრო შეთანხმებათა შესახებ (1-ლი გვერდი).

მენდელეევის VIII ყრილობის მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი (1-ლი გვერდი).

მენდელეევის VIII ყრილობის მიმართვა საბჭოთა კავშირის ყველა ქიმიკოსისადმი (1-ლი გვერდი).

მთავრობის ჯილდოების გადაცემა (მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის პროფკავშირთა XII ყრილობა (მე-2 გვერდი).

გავაძლიეროთ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადება — ფიზკულტურისა და სპორტის აქტივის კრებაზე (მე-2 გვერდი).

ახალგაზრდებო, შვიდწლედი გვიხმობს (მე-2 გვერდი).

ი. თედიაშვილი. — პროპაგანდისტი (მე-3 გვერდი).

ა. თომაძე, გ. გოგოხია. — ისევ შორეულ ნოღაეთში (მე-3 გვერდი).

უცხოეთისა და ადგილობრივი ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საბჭოთა მთავრობის განცხადება

ირანთან, თურქეთთან და პაკისტანთან ამერიკის შეერთებული შტატების ორმხრივ სამხედრო შეთანხმებათა შესახებ

ამას წინათ ანკარაში ხელი მოაწერეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ორმხრივ შეთანხმებებს ირანთან, თურქეთთან და პაკისტანთან. შეთანხმებანი ძალაში შევიდნენ მათი ხელმოწერისთანავე. ამ ქვეყნების მთავრობები, რომლებსაც სურდათ ავიდან აეცილებინათ შეთანხმებათა ფართო განხილვა პარლამენტებში და რომლებსაც ამნიებდათ ამ შეთანხმებებისადმი თავიანთი ქვეყნების საზოგადოებრიობის უარყოფითი დამოკიდებულება, შეთანხმდნენ, რომ შეთანხმებანი მოქმედებდნენ ურატიფიკაციოდ. უცხოეთის პრესა იუწყება, რომ ამერიკა-ირანისა და ამერიკა-პაკისტანის სამხედრო შეთანხმებანი შეიცავენ საიდუმლო დანართებს, რომლებიც განსაზღვრავენ მხარეთა კონკრეტულ ვალდებულებებს და შეთანხმებათა პრაქტიკული განხორციელების გზებს. ეს ცნობები არსებითად უარყოფილი არ ყოფილა.

თავიანთი შინაარსით ანალოგიური სამივე შეთანხმების გამოქვეყნებული ტექსტები იმოწმებენ ბაღდადის პაქტსა და ცნობილ „ეიზენჰაუერის დოქტრინას“, რომელიც ითვალისწინებს ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევას ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხთა საშინაო საქმეებში, აგრეთვე ამერიკის შეიარაღებული ძალების გამოყენებას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის შეხედულებისამებრ. აგრესიის არარსებული საფრთხისაგან „თავდაცვის“ საბაბით ხსენებული შეთანხმებანი ნიშნავენ იმას, რომ ირანი, თურქეთი და პაკისტანი კიდევ უფრო მეტად მიჯაჭვულ იქნენ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ეტლზე, აგრეთვე იმას, რომ ამერიკის შეიარაღებული ძალები შეუვანილ და გამოყენებულ იქნებიან ამ ქვეყნების ტერიტორიებზე. რომლებიც გადაიქცევიან ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო პლაცდარმად.

შეთანხმებათა ზოგიერთი ფორმულირების განზრახი გაურკვევლობა ფართო შესაძლებლობას ქმნის იმისათვის, რომ ისინი ისე განმარტონ, როგორც ხელსაყრელი იქნება ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელი წრეებისათვის. შეერთებული შტატები სიამოვნებით არიან მზად გამოიყენონ თავიანთი ინტერესებისათვის. მაგალითად, ირანის საშაჰოს სამსახური, მაგრამ ამასთან ერთად მათ ეშინიათ სავსებით დაეყრდნონ მას თავიანთ პოლიტიკაში, რადგან ეს, მათი აზრით, სუსტი საყრდენია, რომელიც შეიძლება გატეხილი ჯოხის მსგავსად გადატყდეს და ხელში შეესოს მათ. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა, როგორც უფრო ძლიერმა მხარემ ამ შეთანხმებებში, შეინარჩუნეს შესაძლებლობა ჩაერიონ ირანის, თურქეთის, პაკისტანის საშინაო საქმეებში და ამ ქვეყნების ტერიტორიებზე ამერიკის შეიარაღებული ძალების გამოყენების საკითხები გადაჭრან საკუთარი შეხედულებისამებრ.

ორმხრივი შეთანხმებანი ითვალისწინებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ირანის, თურქეთის, პაკისტანის მთავრობებთან ერთად განახორციელებს სამხედრო-სტრატეგიულ ღონისძიებებს. ეს ნიშნავს, კერძოდ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ამ შეთანხმებათა საფუძველზე შეუძლიათ განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია აღნიშნული ქვეყნების ტერიტორიების მომზადება საომარი მოქმედების ასპარეზად ამერიკის სამხედრო ხროვის გეგმების შესაბამისად.

საქმე ეხება ბაღდადის ბლოკის სამხედრო-სტრატეგიული გეგმების გადასინჯვასა და გადამუშავებას და ახალი გეგმების შემუშავებას, რომლებიც ითვალისწინებენ ამ ბლოკის კრიზისის შედეგად მომხდარ ცვლილებებს და ძალთა სხვა განლაგებას, რომლის დროსაც ინგლისი სულ უფრო გადადის მეორეხარისხოვან პოზიციებზე ბაღდადის ბლოკის ჩარჩოებში, ხოლო ძირითადი ხელმძღვანელი როლი ამ ბლოკის მონაწილე ქვეყნების მიმართ გადადის ამერიკის შეერთებული შტატების ხელში.

ამერიკის სამხედრო ხროვა არ მალავს იმას, რომ ერთ-ერთ ძირითად ადგილს თავის აგრესიულ გეგმებში, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, აგრეთვე მეზობელი არაბული ქვეყნების წინააღმდეგ, იგი აკუთვნებს თურქეთს, რომელიც დასახულია გადაიქცეს მთავარ რაკეტულ-ატომურ ბაზად სსრ კავშირის სამხრეთი საზღვრების ახლოს. ამ მიმართულებით გათვალისწინებულია ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ ძალებთან თურქეთის მმართველი წრეების თანამშრომლობის შემდგომი გაფართოება, ამასთან, როგორც ცნობილია, თურქეთის ტერიტორიაზე ეს ერთი ხანია უკვე ხორციელდება სათანადო მზადება. მთელი ეს გეგმები, რომლებიც თურქეთს ეხება, კარგად ცნობილია. მათი განხორციელება თურქერს, თურქეთის სახელმწიფოს უქმნის მომაკვდინებელ საფრთხეს იმპერიალისტთა მიერ საომარი კონფლიქტის გაჩაღების შემთხვევაში, რის შესახებაც საბჭოთა მთავრობას უკვე არაერთგზის გაუფრთხილებია თურქეთი.

საბჭოთა კავშირს, რომელიც გულწრფელად არის დაინტერესებული თურქეთთან მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებით, არ შეუძლია თურქეთის ახლანდელი მთავრობის პოლიტიკა არ შეაფასოს როგორც ფრიად და ფრიად საშიში. ასეთი პოლიტიკა უკვე ახლა დაძლუპველ გავლენას ახდენს თურქეთის ეკონომიურ მდგომარეობაზეც, რომელიც სულ უფრო მეტ სიძნელეებს განიცდის სამხედრო ხარჯების მზარდ ტვირთთან დაკავშირებით, რასაც თურქ ხალხს აკისრებენ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ეგრეთწოდებული „სამხედრო თანამშრომლობის“ წესით.

ამერიკის შეერთებულ შტატებს, აგრეთვე ინგლისს საშინაო მდგომარეობა ირანში მერყევად მიაჩნიათ და ნაკლებ იმედს ამყარებენ ირანის არმიაზე, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ინსპექციას უწევდნენ ამერიკელი სამხედრო მრჩევლები. მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატები უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებენ სწორედ ირანთან სამხედრო შეთანხმებას, რომელმაც, მათი ვარაუდით, უნდა შექმნას პირობები შუა აღმოსავლეთში ამერიკის სამხედრო ღონისძიებებში ირანის სავსებით ჩაბმისათვის.

თუ ბაღდადის ბლოკი, როგორც ეს ნათქვამია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ეიზენჰაუერის ამა წლის 13 მარტის წერილში კონგრესისადმი, ამერიკის მმართველ წრეებს მიაჩნიათ აგრესიული სამხედრო ბლოკების — ნატოს და სეატოს ჯაჭვის „შემაერთებელ რგოლად“, ირანი უკვე თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ამერიკის შეერთებული შტატების თვალში ამ ჯაჭვის ისეთი ნაწილია, ურომლისოდაც მათი სამხედრო გეგმები, აგრეთვე აღმოსავლეთის ამას წინათ განთავისუფლებული ქვეყნების ჩახშობისა და ახალი კოლონიური დამონების გეგმები დარღვეული აღმოჩნდებოდა.

ირანის ჩათრევა შუა აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ღონისძიებებში უფრო აქტიური მონაწილეობისათვის მთელი რიგი ფაქტებით გამოიხატება. მიმდინარეობს მზადება იმისათვის, რომ ირანის ტერიტორია გამოიყენონ ამერიკის სამხედრო ბაზების შესაქმნელად, რომლებსაც პირველ ხანებში განზრახულია უწოდონ „ირანის ბაზები“, თუმცა მათი დაპროექტება და მშენებლობა ხორციელდება ამერიკელთა ხელმძღვანელობით და ეს ბაზები წინასწარვე განკუთვნილია არა ირანის ჯარებისათვის. ძლიერდება ამერიკის კონტროლი ირანის არმიისა და პოლიციისადმი, აგრეთვე ამერიკელი „ექსპერტების“ შეგზავნა ირანის ჩრდილოეთ რაიონებსა და ერაყის რესპუბლიკის მოსაზღვრე რაიონებში. მზადდება ოფიცრებისა და გენერლების შემდგომი გადაადგილება საკომანდო თანამდებობებზე ირანის არმიაში და ნაციონალისტურად განწყობილი ოფიცრების დათხოვნა არმიიდან, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამენ ამ არმიაში ამერიკელთა პარპაშის გამო. დაგეგმილია სამხედრო მნიშვნელობის გზატკეცილების მშენებლობა, რომლებიც ერთმანეთს დაუკავშირებენ თურქეთს, ირანსა და პაკისტანს. „ურთიერთ უშიშროების უზრუნველყოფის“ წესით დასახულია აგრეთვე გაძლიერდეს თურქეთის სამხედრო პირთა პირდაპირი ჩარევა ირანის არმიის საქმეებში.

ყოველივე ეს უმთავრესად იმისათვის ხდება, რომ განამტკიცონ სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიური პრივილეგიები, რომლებითაც შეერთებული შტატები და ინგლისი მოურიდებლად სარგებლობენ დღეს ირანში. დამახასიათებელია, რომ სამხედრო შეთანხმების შესახებ ამერიკა-ირანის მოლაპარაკების მსვლელობაში ამერიკის მხარემ განაცხადა, რომ ირანის არმია განკუთვნილ უნდა იქნას უწინარეს ყოვლისა ირანის შიგნით სახალხო მღელვარების ჩასახშობად, ხოლო რაც შეეხება ჰუზისტანისა და სპარსეთის ყურის ნავთობიანი რაიონების „დაცვას“, ამ ამოცანას ამერიკის ჯარები შეასრულებენ, რამდენადაც ირანის არმიას ასეთი ამოცანის შესრულება არ ძალუძსო. ამავე დროს ახლოს მდებარე ბაჰრეინის კუნძულების, კუვეიტისა და სამხრეთ არაბეთის სამთავროების მაგალითით ირანელმა ხალხმა კარგად იცის, თუ რას ნიშნავს ტერიტორიის ასეთი „დაცვა“ უცხოეთის ჯარების მიერ. აქედან ჩანს, რომ ირანთან სამხედრო შეთანხმების დადებისას ამერიკის შეერთებული შტატები ისწრაფვიან უზრუნველყონ აგრეთვე ნავთობის იმ მონოპოლიათა ინტერესები, რომლებიც გაერთიანებული არიან ეგრეთწოდებულ საერთაშორისო ნავთობის კონსორციუმად ირანში.

ასეთი პოლიტიკა, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს ირანის ახლანდელ დაქვემდებარებულ მდგომარეობას ბაღდადის ბლოკის ფარგლებში, იწვევს ირანის თანდათანობით გადაქცევას ნახევარკოლონიად, როგორც ეს უკვე ყოფილა ირანის ისტორიაში, ამჯერად — ამერიკის ნახევარკოლონიად. საჭირო არ არის ვამტკიცოთ, რომ ირანის მმართველი წრეების ასეთი პოლიტიკა შეუთავსებელია ირანელი ხალხის, ისევე როგორც სხვა თავისუფლებისმოყვარე ხალხების ეროვნულ ინტერესებთან, შუა და ახლო აღმოსავლეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებთან.

საბჭოთა კავშირი გვერდს ვერ აუვლის იმას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ირანის სამხედრო შეთანხმების დადება იმის შესაძლებლობას ქმნის, რომ ირანის ტერიტორია გადაიქცეს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმად სსრ კავშირის წინააღმდეგ. სამხედრო შეთანხმება ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რომელსაც ხელი მოაწერა ირანის მთავრობამ, აშკარად ეწინააღმდეგება ირანის ვალდებულებებს საბჭოთა კავშირ-ირანის 1921 და 1927 წლების მოქმედ ხელშეკრულებათა მიხედვით. ცნობილია, რომ 1927 წლის ხელშეკრულების თანახმად ირანმა ვალდებულება იკისრა არ მიიღოს მონაწილეობა არც ფაქტიურად, არც ფორმალურად საბჭოთა კავშირის უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ კავშირებსა თუ შეთანხმებებში. 1921 და 1927 წლების ხელშეკრულებათა შესაბამისად ირანის მთავრობამ ვალდებულება იკისრა ყოველი მისაწვდომი საშუალება გამოიყენოს, რათა არ დაუშვას ირანის ტერიტორიაზე მესამე სახელმწიფოთა ჯარების ან შეიარაღებული ძალების ყოფნა, რასაც შეეძლება საფრთხე შეუქმნას საბჭოთა კავშირის საზღვრებს, ინტერესებს ან უშიშროებას, აგრეთვე ვალდებულება იკისრა არ დაუშვას, რომ ირანის ტერიტორია გადაიქცეს ბაზად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამხედრო გამოსვლებისათვის.

ირანის მხარე, მართალია, სიტყვიერად აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან დადებული სამხედრო შეთანხმება არ არის მიმართული საბჭოთა კავშირის უშიშროების წინააღმდეგ, მაგრამ ასეთი განცხადებანი ეწინააღმდეგებიან ფაქტებს. ხოლო ირანის ოფიციალურ პირთა ცდები „მოძველებულად“ გამოაცხადონ საბჭოთა კავშირ-ირანის 1921 წლის მოქმედი ხელშეკრულების ზოგიერთი დებულებანი, ერთხელ კიდევ აღასტურებენ, რომ ირან-ამერიკის სამხედრო შეთანხმებას საბჭოთა კავშირისადმი მტრული ხასიათი აქვს.

საბჭოთა მთავრობამ უკვე აღნიშნა თავის წარდგინებებში პაკისტანის მთავრობისადმი, თუ რა საშიშროებას უქმნის პაკისტანს, აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და შუა აღმოსავლეთის რაიონში მშვიდობის საქმეს პაკისტანის მიერ ახალი სამხედრო შეთანხმების დადება ამერიკის შეერთებულ შტატებთან. პაკისტანის მთავრობა თავის ამა წლის 27 თებერვლის პასუხში საბჭოთა მთავრობისადმი უარყოფდა, რომ მას აქვს აგრესიული განზრახვა რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ, და აცხადებდა, რომ არ დაუშვებს თავისი ტერიტორიის გამოყენებას რომელიმე სხვა სახელმწიფოს მიერ აგრესიული მიზნებით. მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ ახალი სამხედრო შეთანხმებით კიდევ უფრო ძლიერდება პაკისტანის არმიისა და თვით პაკისტანის როგორც სახელმწიფოს დამოკიდებულება ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ გეგმებზე. გარდა მრავალი ამერიკელი სამხედრო მრჩეველისა და ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალური სამხედრო მისიისა, პაკისტანში განლაგდება ამერიკის სამხედრო-საინჟინრო კორპუსი, რომელშიც შედის ათასზე მეტი კაცი და რომელიც სპეციალურად მუშაობს სამხედრო ბაზებისა და რაკეტული ყუმბარების გასაშვები სასტარტო მოედნების მშენებლობაზე. მოსალოდნელია, რომ პაკისტანში ჩავლენ ამერიკის ჯარების ახალი ქვეგანაყოფები, აგრეთვე ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სარდლობის უშუალო კონტროლს დაექვემდებარება ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი სტრატეგიული ბაზა პაკისტანის ტერიტორიაზე, რომლებსაც უკანასკნელ დრომდე კონტროლს უწევდა პაკისტანის არმია.

პაკისტანის მთავრობის ასეთი პოლიტიკა იწვევს პაკისტანის მშვიდობისმოყვარე მეზობლების გასაგებ შეშფოთებას. ამერიკის იარაღის მიწოდება პაკისტანისათვის და ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამხედრო თანამშრომლობის გაფართოება აქეზებს პაკისტანის გარკვეულ წრეებს, რათა ემზადონ ინდოეთისა და ავღანეთის წინააღმდეგ, რასაც პაკისტან- ამერიკის სამხედრო შეთანხმებასთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოებრიობის უურადღებას აქცევდნენ თავიანთ განცხადებებში ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ და ავღანეთის პრემიერ-მინისტრი დაუდი.

ამრიგად, როგორც სხვა შემთხვევებშიც, ამერიკის სამხედრო „დახმარება“ იწვევს პაკისტანის ურთიერთობის გაუარესებას მეზობელ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან, რომლებთანაც განსაკუთრებით თავისი ობიექტური მდგომარეობის გამო პაკისტანს უნდა ჰქონდეს მეგობრული კეთილმეზობლური ურთიერთობა, რასაც აღნიშნული მეზობელი ქვეყნების მთავრობები ესწრაფვიან.

ნათქვამიდან ჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ორმხრივ სამხედრო შეთანხმებათა დადება თურქეთთან, ირანთან და პაკისტანთან აძლიერებს საერთაშორისო დაძაბულობას და საფრთხეს უქმნის მშვიდობას შუა და ახლო აღმოსავლეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

თავისთავად იგულისხმება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ეს ნაბიჯები არასგზით არ ეთანხმება მის განცხადებებს მშვიდობისადმი და საერთაშორისო საკითხების მშვიდობიანი მოწესრიგებისადმი მისწრაფების შესახებ და არ შეიძლება გამართლებულ იქნას ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მოჩვენებითი საჭიროების დამოწმებით, რამდენადაც საქმე ეხება რაიონს, რომელიც შეერთებულ შტატებს დაშორებულია ათი ათასი და მეტი კილომეტრით და უშუალოდ ეკვრის საბჭოთა კავშირის სამხრეთ საზღვრებს.

შეერთებული შტატების მიერ ამ შეთანხმებათა დადება, ამ საქმეში ინგლისის პირდაპირი მონაწილეობით, წარმოადგენს მტრულ აქტს საბჭოთა კავშირის მიმართ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ინდოეთში, ავღანეთში, ერაყის რესპუბლიკასა და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებში სამართლიანად მიაჩნიათ, რომ აღნიშნული შეთანხმებანი უაღრესად მტრული აქტია ამ ქვეყნების მიმართაც.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ამ შემთხვევაშიც ასრულებენ საერთაშორისო ჟანდარმის არასახარბიელო როლს აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხთა წინააღმდეგ, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ განთავისუფლდნენ კოლონიური ჩაგვრისაგან. მსგავსად იმისა, როგორც XVI-XIX საუკუნეებში პორტუგალიის, ჰოლანდიისა და ინგლისის კოლონიზატორები კავშირს დებდნენ ყველაზე რეაქციულ და დესპოტურ ადგილობრივ ძალებთან აზიისა და აფრიკის რაიონების კოლონიური დამონებისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ახლა იმედს ამყარებენ კავშირებზე, რომლებიც განკუთვნილია აღმოსავლეთის ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევისათვის, იმ ძალებისათვის ანგარიშის გასასწორებლად, რომლებიც კოლონიზატორებს არ მოსწონთ. ამერიკის შეერთებული შტატების ეგრეთწოდებული „ახალი მოდის“ კოლონიალიზმი, ამრიგად, სწავლობს პორტუგალიის, ჰოლანდიის, ინგლისის „ძველი მოდის“ კოლონიალიზმისაგან.

ასრულებენ რა ჩვენს დროში დასაღუპავად გამზადებული კოლონიალიზმის მთავარი დასაყრდენის როლს, ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელი წრეებს არა სურთ ანგარიში გაუწიონ იმას, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხები, რომლებსაც სრული შესაძლებლობა აქვთ თანამედროვე მრეწველობისა და მიწათმოქმედების საშუალებათა დახმარებით ბოლო მოუღონ კოლონიალიზმისაგან შემკვიდრეობით მიღებულ ეკონომიურ ჩამორჩენილობას და თავიანთი არსებობის ღატაკურ დონეს, არასოდეს არ შეურიგდებიან ახალი დამონების ცდებს. და ვერავითარი სამხედრო კავშირი, რომელსაც კოლონიური სახელმწიფოები აკოწიწებენ, ვერ შეაჩერებს აღმოსავლეთის ხალხთა განთავისუფლების პროცესს, რომელიც შეუფერხებლად ვითარდება. ამას საკმაო დამაჯერებლობით მოწმობენ ერაყში 1958 წლის ივლისში მომხდარი ისტორიული ამბები, როცა ნური საიდ-ფეისალის დამპალი რეჟიმი ვერ იხსნეს ვერც ბაღდადის პაქტმა და ვერც ახლო და შუა აღმოსავლეთის ყველა გზაჯვარედინზე რეკლამირებულმა „ეიზენჰაუერის დოქტრინამ“.

ამერიკის შეერთებული შტატების ორმხრივ სამხედრო შეთანხმებებში ირანთან, პაკისტანთან და თურქეთთან ნათქვამია, სხვათა შორის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ამ ქვეყნებს უწევენ არა მარტო სამხედრო, არამედ აგრეთვე ეკონომიურ „დახმარებას“. ამასთან საბაბი მიეცათ, რათა ერთხელ კიდევ წარმოეთქვათ მაღალფარდოვანი, მაგრამ ფარისევლური სიტყვები ამ ქვეყნების ეკონომიური განვითარებისათვის „ეფექტიანი ხელშეწყობის“ შესახებ.

ნამდვილად საქმე სულ სხვანაირად არის. ითრევენ რა ისედაც მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში მყოფ ირანს, პაკისტანსა და თურქეთს სულ ახალ-ახალ ხარჯებში სტრატეგიული გზების, აეროდრომების, სასტარტო მოედნების, ყაზარმების, სამხედრო საწყობების მშენებლობისათვის, ისედაც უკვე გაბერილი არმიების შენახვისათვის, აღნიშნული სამხედრო შეთანხმებანი იმდენადვე შველიან ამ ქვეყნების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას, რამდენადაც თოკი შველის ჩამოხრჩობილს. შემთხვევითი როდია, რომ ამერიკა-პაკისტანის შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით კარაჩში გამოაცხადეს, რომ უარს ამბობენ მთელი რიგი ეროვნული სამრეწველო საწარმოების მშენებლობის წინათ დასახულ გეგმებზე.

ორმხრივი სამხედრო შეთანხმებანი ირანს, პაკისტანსა და თურქეთს სხვას არაფერს უქადიან, თუ არა მათს შემდგომ დამონებას უცხოეთის მსხვილი მონოპოლიების მიერ, სახელმწიფო დავალიანების, ფასების, გადასახადების ზრდას, სამხედრო ხარჯების გადიდებას, რომლებიც უკვე ახლა ნთქამენ მათი ეროვნული ბიუჯეტების მეტ ნაწილს. წრეები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკისათვის და იმსახურებენ უცხოეთის სამხედრო ხროვის ნდობას, მოქმედებენ ცნობილი პრინციპით: „უფუნდაც შიშველი იყავ, ოღონდ ხელში მახვილი გეჭიროს“. მაგრამ ეს პრინციპი, რომელსაც ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეებში სრული საფუძვლით დასცინოდნენ, სრულიადაც ვერ შეუწყობს ხელს შუა აღმოსავლეთის აღნიშნული ქვეყნების უშიშროების უზრუნველყოფას. ამერიკის შეერთებულ შტატებთან თურქეთის, ირანის, პაკისტანის სამხედრო თანამშრომლობის გაფართოება და მათ მიერ ახალ სამხედრო ვალდებულებათა მიღება ამჟამად, კოსმოსური რაკეტებისა და დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების საუკუნეში, სრულიადაც ვერ გაადიდებს მათს სამხედრო პოტენციალს, არამედ, სომარი კონფლიქტების შემთხვევაში, მხოლოდ გახდის მათს ტერიტორიას ამერიკისა და ინგლისის მსხვილი მონოპოლიების ინტერესებისათვის, მათთვის უცხო ინტერესებისათვის ბრძოლების ასპარეზად. ცხადია, რომ არა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აგრესიულ წრეებთან „სამხედრო თანამშრომლობის“ გაფართოების გზა, არამედ თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისა და ფართო ეკონომიური მშენებლობის განმტკიცების გზა, რასაც აღმოსავლეთის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ხალხები დაადგნენ, უზრუნველყოფს მათთვის მშვიდობის, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების, ეროვნული აყვავების პერსპექტივებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამხედრო შეთანხმებათა დადებით ირანის, თურქეთისა და პაკისტანის მთავრობები უფრო მეტად შევიდნენ დასავლეთის სახელმწიფოთა აგრესიული წრეების პოლიტიკის ფარვატერში. უეჭველია, რომ ეს სამხედრო შეთანხმებანი ამწვავებენ მდგომარეობას ვრცელ რაიონში, რომელიც გადაჭიმულია საბჭოთა კავშირის სამხრეთი საზღვრების გაყოლებით ან მათთან უშუალოდ ახლოს.

საბჭოთა მთავრობამ უკვე მიაქცია ირანის, თურქეთისა და პაკისტანის მთავრობათა ყურადღება სერიოზულ შედეგებს, რომლებიც დაკავშირებულია ასეთი პოლიტიკის განხორციელებასთან. მაგრამ ამ ქვეყნების მთავრობები აშკარად ნაკლებად ზრუნავენ თავიანთი სახელმწიფოების ნამდვილი უშიშროებისა და დამოუკიდებლობისათვის, არამედ უმთავრესად ყურადღებას აქცევენ, რომ სულ უფრო და უფრო შეუგუონ თავიანთი საგარეო, და არა მარტო საგარეო, პოლიტიკა იმ აგრესიული სამხედრო ბლოკების სამხედრო-სტრატეგიულ და კოლონიზატორულ გეგმებს, რომლებიც შეკოწიწებულია ამერიკის შეერთებული შტატების მფარველობით.

საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია ამერიკის შეერთებული შტატების, ირანის, თურქეთისა და პაკისტანის მთავრობათა ამგვარი მოქმედება არ მიიჩნიოს მტრულ მოქმედებად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მტრულ მოქმედებად მშვიდობის საქმის წინააღმდეგ.

სსრ კავშირის მთავრობა, რა თქმა უნდა, თავის მხრივ მიიღებს საჭირო ღონისძიებებს სსრ კავშირის საზღვრების უშიშროების უზრუნველყოფისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

1959 წლის 25 მარტი.

მენდელეევის VIII ყრილობის მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი

მენდელეევის VIII ყრილობამ, რომელიც მოსკოვში გაიმართა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა მისალმება, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ქიმიის თანამედროვე განვითარება საშუალებას გვაძლევს უფრო სრულად გამოვიყენოთ ბუნებრივი რესურსები და დიდი წვლილი შევიტანოთ სსრ კავშირის მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაჭრაში — უმოკლეს ვადებში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება, ნათქვამია მისალმებაში, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ყრილობა პირობას აძლევს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ საბჭოთა ქიმიკოსები — მეცნიერები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მუშები მთელ ხალხთან ერთად მთელ ძალებსა და შემოქმედებითს ენერგიას მოახმარენ ქიმიური მეცნიერების განვითარებას, ქიმიური მრეწველობის ტექნიკური პროგრესის ამოცანების გადაწყვეტას, კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებას.

(საკ‍დესი).

მენდელეევის VIII ყრილობის მიმართვა საბჭოთა კავშირის ყველა ქიმიკოსისადმი

მენდელეევის VIII ყრილობამ, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობდა, მიიღო მიმართვა საბჭოთა კავშირის ყველა ქიმიკოსისადმი.

მიმართვაში ხაზგასმულია, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიან გეგმაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქიმიურ მეცნიერებასა და მრეწველობას, რომლის დაჩქარებული განვითარება განსაზღვრულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ, ნათქვამია მიმართვაში, აღნიშნა თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქიმიურ მრეწველობას ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დიადი ისტორიული ამოცანის განხორციელებაში.

ფართო და მრავალფეროვანი ამოცანები, რომლებიც საბჭოთა ქიმიკოსების წინაშე დგას მომავალ შვიდწლედში, ნათქვამია მმართავში, უნდა გადაწყდეს მეცნიერებისა და პრაქტიკის მჭიდრო ერთიანობის სულისკვეთებით. წარმოებაში უახლესი მეცნიერული მიღწევების სწრაფ ათვისებაზე უაღრესად არის დამოკიდებული მთავარი ამოცანების — ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, მშენებლობის გაიაფების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი ღირებულების შემცირების ამოცანების გადაწყვეტა.

ქიმიური წარმოება, რომელიც სწრაფად ვითარდება და ახალი მოთხოვნილებანი, რომელთაც განაპირობებს ტექნიკის, სოფლის მეურნეობის, მედიცინის ახალი დარგების განვითარება, ახალ პრობლემებს უსახავს ქიმიას. ეს მოითხოვს, რომ გამოვნახოთ ახალი ქიმიური მასალები წინასწარ მოცემული თვისებებით, შევქმნათ ახალი ტექნოლოგიური პროცესები და მნიშვნელოვნად გავაფართოოთ ამოსავალ ნივთიერებათა წრე, რომლებიც ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მრეწველობაში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ძვირფასი თვისებების მქონე ახალი პოლიმერული მასალების შექმნას ნავთობის, ბუნებრივი გაზებისა და ფართოდ მისაწვდომი მცენარეული ნედლეულის გადამუშავების პროდუქტების საფუძველზე.

ყრილობა უურადღებას აქცევს იმას, რომ საჭიროა მეცნიერული კვლევის უკეთესი კოორდინაცია, სამეცნიერო დაწესებულებათა მთელი ქსელის მნიშვნელოვნად მეტი მიახლოება წარმოებასთან.

მენდელეევის VIII ყრილობა მოუწოდებს საბჭოთა კავშირის ყველა ქიმიკოსს აქტიურად ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში შვიდწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ქიმიური მეცნიერებისა და მრეწველობის შემდგომი შემოქმედებითი განვითარებისათვის. (საკ‍დესი).

სსრ კავშირის პროფკავშირთა XII ყრილობა

სსრ კავშირის პროფკავშირთა XII ყრილობის საღამოს სხდომაზე კამათში პირველი გამოვიდა სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშებისა და მოკამსახურეების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **ამხ. ს. ვ. ეგურაზდოვი.** მან ილაპარაკა პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანებზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებაში.

პროფკავშირები სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ წარმოების მართვასა და ორგანიზაციაში, განაცხადა თავის სიტყვაში ლენინგრადის სატრაქტორო ქარხნის დირექტორმა **ამხ. ვ. ი. კლიმენკოვმა.** მან აღნიშნა, რომ მუდმივ მოქმედი საწარმოო თათბირები თვალსაჩინო როლს ასრულებენ საწარმოს ცხოვრებაში, მუშების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებია გაუმჯობესებაში.

უზბეკეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **ამხ. ბ. ბ. მუსახანოვმა** თქვა, რომ საკავშირო პროფსაბჭომ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს უზბეკეთში ალპინიზმისა და ტურიზმის განვითარებას. უზბეკეთში ამისათვის არის ბუნებრივი პირობები. მაგრამ იქ დღემდე არ არის კარგი ალპინისტური ბანაკები და ტურისტული ბაზები.

სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა საბანდატო კომისიის თავმჯდომარეს **ამხ. პ. ე. ბარმასოვს,** რომელსაც მოყავს ცნობები საანგარიშო პერიოდში პროფკავშირების სწრაფი ზრდის შესახებ. ახლა არის პროფკავშირთა 52.780.700 წევრი — 12.360.700-ით მეტი, ვიდრე პროფკავშირთა XI ყრილობის წინ იყო. დელეგატთა შორის არიან 47 ეროვნების წარმომადგენლები. მათგან თითქმის 66 პროცენტს აქვს უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი და საშუალო განათლება. ქალები შეადგენენ დელეგატთა 38-ზე მეტ პროცენტს. ყრილობას ესწრებიან სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშებისა და მოსამსახურეების წარმომადგენლები.

სამანდატო კომისიის მოხსენება ერთხმად მტკიცდება.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს გენერალური მდივანი **ამხ. შანდორ გაშპარი** ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის წარმატებანი ნიშნავენ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ახალ გამარჯვებებს, ხელს უწყობენ მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებას.

ლათინური ამერიკის მშრომელთა ბრძოლაზე ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, თავიანთი ქვეყნების პროგრესისა და დამოუკიდებლობისათვის ყრილობის დელეგატებს უამბო ლათინური ამერიკის მშრომელთა კონფედერაციის თავმჯდომარემ **ამხ. ლომბარდო ტოლედანომ.**

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ამხ. ანტონ მოისესკუმ** აღნიშნა, თუ როგორ იბრძვის რუმინელი ხალხი თავისი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის სწრაფი განვითარებისათვის.

სრულიად ინდოეთის პროფკავშირთა კონგრესის წარმომადგენელმა, ტამილნადის პროფკავშირთა კონგრესის გენერალურმა მდივანმა **ამხ. განესანმა** ყრილობის დელეგატებს გააცნო კონგრესის საქმიანობა, რომელიც იბრძვის მუშათა კლასის გაერთიანებისათვის, პროფკავშირთა ერთიანობისათვის, სწრაფი ეროვნული განვითარებისა და მუშათა კლასის უფლებათა დაცვისათვის. ამ პოლიტიკის განხორციელების შედეგად სრულიად ინდოეთის პროფკავშირთა კონგრესი ინდოეთის მთელი პროფკავშირული მოძრაობის ნამდვილი ცენტრი გახდა.

ყრილობას მისალმების გულთბილი სიტყვებით მიმართა ინდონეზიის ეროვნული მუშების პროფკავშირული ცენტრის თავმჯდომარის მოადგილემ **ამხ. რაშიდ ემასმა.**

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **ამხ. ვ. ა. ივანოვი,** საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ამხ. მ. მ. ლელაშვილი,** აზერბაიჯანის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ამხ. კ. ა. ჰუსეინოვი,** გორკის საავტომობილო ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე **ამხ. მ. ვ. მაქსიმოვი,** ტალინის მანქანათმშენებელი ქარხნის ოსტატი **ამხ. ა. კ. ვენდერი.**

* * *

სსრ კავშირის პროფკავშირთა ყრილობაზე 25 მარტს გრძელდებოდა კამათი **მოხსენებათა გამო საკავშირო პროფსაბჭოს** მუშაობისა და სსრ კავშირის პროფესიულ- კავშირებზე ამოცანების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით და სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ. ვინც უნდა გამოსულიყო — რესპუბლიკების პროფკავშირთა საბჭოების ხელმძღვანელები, საწარმოთა დირექტორები, წარმოებისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორები — ყოველი ორატორი ლაპარაკობდა პასუხსაგებ ამოცანებზე, რომლებიც პარტიის XXI ყრილობამ დასახა პროფკავშირთა წინაშე იმაზე, რომ საჭიროა უფრო მეტი სიმტკიცით დავრაზმოთ მშრომელთა ფართო მასების ღონისძიებანი შეიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ლაპარაკობდნენ ღონისძიებებზე, რომლებსაც პროფკავშირული ორგანიზაციები იღებენ ამისათვის.

ლატვიის მშრომელთა დიდ წარმატებაზე დელეგატებს უამბო ლატვიის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **ამხ. ი. ო. პინკსისმა.** მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ლატვიაში 23 წლით უფრო გვიან დამყარდა, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, ლატვიელმა ხალხმა მოკლე ვადაში თვალსაჩინო შედეგები მოიპოვა. რესპუბლიკის მშრომელებმა გაარღვეს ფართო სოციალისტური შეჯიბრება, რომლის მსვლელობაში წარმოიშვა ბევრი შესანიშნავი წამოწყება.

ხარკოვის ტრანსფორმატორთა ქარხნის ხარატი **ამხ. კ. ს. კოსლიაკოვი** ლაპარაკობს ხარკოველ ტრანსფორმშენებელთა ბრძოლაზე 1959 წლის დავალების გადამდე განხორციელებისათვის. **ამხ.** კისლიაკოვმა 1958 წელს შეასრულა სამი წლიური ნორმა და გადაწყვიტა შეიდწლედის განმავლობაში შეასრულოს სულ ცოტა თხუთმეტი წლიური ნორმა, სპეციალობა შეასწავლოს 20 ჭაბუკს. **ამხ.** კისლიაკოვი ლაპარაკობს შეფერხებებზე საწარმოს მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, რაც რიტმული მუშაობის დარღვევას იწვევს. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან უკეთ იმუშაონ მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის, გააძლიერონ კონტროლი რაციონალიზატორების წინადადებათა რეალიზაციის მიმდინარეობისადმი.

შრომის ნაყოფიერების ზრდის, ხელფასის მოწესრიგებისა და შემოკლებულ სამუშაო დღეზე საწარმოთა გადაყვანის საკითხებს მიეძღვნა თავისი სიტყვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **ამხ. ა. პ. ვოლკოვმა,** ახლა პროფკავშირული ორგანიზაციების უშუალო მონაწილეობით ხორციელდება ნაკლოვანებათა გეგმაზომიერი აღმოფხვრა შრომის ანაზღაურებაში, აგრეთვე საწარმოთა გადაყვანა შემოკლებულ სამუშაო დღეზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ უკვე მიღებული დადგენილებების მიხედვით ხელფასის მოწესრიგება მოიცავს დაახლოებით მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვის მესამედს.

რიაზანის ოლქის ილინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მწველადმა **ამხ. ე. ი. კონდინოვამ** ყრილობის დელეგატებს აცნობა, რომ ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელები იბრძვიან ხორცისა და რძის წარმოების გადიდების ვალდებულებათა შესასრულებლად. მე პირადად, თქვა მან, აგრეთვე გადავწყვიტე გავადიდო ჩემი წვლილი საერთო საქმეში. 1958 წელს ჩემი ჯგუფის თითოეულ ძროხაზე მივიღე 6.708 კილოგრამი რძე, წელს კი ვიკისრე ვალდებულება წველადობა გავადიდო 7.500 კილოგრამამდე. ამ ვალდებულებას **ამხ.** კონდინოვა წარმატებით ახორციელებს. საბჭოთა მეურნეობის მთელი კოლექტივიც ასრულებს თავის ვალდებულებებს.

მოსკოვის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ **ამხ. გ. ვ. პოდელშჩიკოვმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდს ახასიათებს პროფკავშირთა აქტიური საქმიანობა და მათი მზარდი როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

ამხ. პოდელშჩიკოვმა გამოთქვა კრიტიკული შენიშვნები ჩვენი ქვეყნის საწარმოებში პროფკავშირების მოქმედი სისტემის შესახებ, რომელიც, მისი აზრით, აღარ შეეფერება დღევანდელი დღის ამოცანებს.

იმაზე, თუ მოსკოვის მახარისხებელ დეპოში როგორ ჩაისახა კომუნისტური შრომის ბრიგადების შესანიშნავი მოძრაობა, ყრილობას ტამბო რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ **ამხ. ე. ტ. ჩერედნიჩენკომ.** ამჟამად ფოლადის მაგისტრალებზე ჩადგება ბრიგადა სამეცადინო ეკონომიური მაჩვენებლის გაუმჯობესებისათვის. ტომსკის გზის მუშათა ინიციატივით იწყება მოძრაობა 1959 წლის ერთი მილიარდი მანეთის ზეგეგმით დაგროვების მიღებისათვის. **ამხ.** ჩერედნიჩენკომ რკინიგზელთა სახელით მადლობა გადაუხადა ახალგაზრდობასა და კომკავშრომელებს, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ახალი ფოლადის ლიანდაგების აგებასა და მოქმედი ლიანდაგების ელექტროფიკაციაში.

ტრანსუნსზეა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **ამხ. ტოდორ პრაბოი.** იგი ყრილობას მონაწილეებს გადასცემს ბულგარელ მშრომელთა გულითადი სალამს. საბჭოთა კავშირის გმირი მუშათა კოლაი. რიბობს იგი, ახორციელებს მილიონობით მშრომელთა ოცნებას — აშენებს კომუნიზმს. რომლის გზა მკაფიოდ გაშუქებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებში. ბულგარეთის პროფესიული კავშირები მუშაობ სწავლობდნენ, სწავლობენ და ისწავლიან მომავ საბჭოთა პროფკავშირების დიდ გამოცდილებით.

ლიტვის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **ამხ. პ. პ. ოობრეოლის ისმა** განაცხადა, რომ შარშან ლიტვის მრეწველობის მთლიანმა პროდუქციამ რვაჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს. უმჯობესდება მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები. პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო უკვე მეორე წელია დებს გენერალურ შეთანხმებას სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, რომლითაც გათვალისწინებულია უსათუოობის ტექნიკის, სამრეწველო სანიტარიის გაუმჯობესება, საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობა.

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საკითხებს მიეძღვნა თავისი სიტყვა გომელის რკინიგზელთა კულტურის სასახლის გამგეობის თავმჯდომარემ **ამხ. ნ. ნინკოვიჩმ.**

შემდეგ სიტყვას იღებს ალჟირის მშრომელთა საყოველთაო გაერთიანების წარმომადგენელი **ამხ. მოაშო აბდელ-კადერი,** რომელმაც სსრ კავშირის მშრომელებს მადლობა გადაუხადა მორალური მხარდაჭერისათვის, რასაც ისინი ყოველთვის უწევენ ალჟირელ ხალხს თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის სამართლიან ბრძოლაში.

გადასცა რა ყრილობასა და საბჭოთა კავშირის მთელ მოშათა კლასს ალბანეთის მშრომელთა მხურვალე მილოცვა, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **ამხ. გოგო ნუში** ლაპარაკობს ფართო პერსპექტივებზე, რომლებსაც საბჭოთა ხალხის წინაშე სახავს ახალი შეიარაღება. მან აღნიშნა დიდი როლი, რომელიც საბჭოთა პროფკავშირებს უკუთვნით თავიანთი ქვეყნის ცხოვრებაში.

სოციალიზმის მშენებლობის წარმატება კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჭიდროდ დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის ხალხის დიდ მოძეგვებთან, ყრილობის ტრიბუნიდან გაჟღერდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ფერთიანებულ პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ **ამხ. ლი ხი სუნმა.** მან თქვა, რომ საბჭოთა კავშირის მაგალითი დიდი შთამაგონებელი ძალაა.

იაპონელ მუშათა ბრძოლაზე ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, თავიანთი ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისათვის, აზიისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ოლეგატებს უამბო იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს წარმომადგენელმა **ამხ. იოსიო მინამმ.** (საკდესი).

მთავრობის ჯილდოების გადაცემა

მიმდინარე წლის 25 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ამხ. მ. დ. ჩუბინიძემ** მთავრობის ჯილდოები გადასცა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისა და კულტურის მუშაკთა ჯგუფს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **ამხ. ზ. ბ. გელდიაშვილმა.**

უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი გადაეცა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრს **ბ. ა. ჩხეიძეს.**

შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველს **ვ. ბ. კაჭარავას.**

მედალი „შრომითი წარმატებისათვის" მიიღო საქართველოს სსრ სახელმწიფო ბანკის სამტრედიის განყოფილების მთავარმა ბუხჰალტერმა **თ. პ. ქუნთელიამ.**

მთავრობის ჯილდოები გადაეცათ სათფინანსო და ბანკის სხვა მუშაკებსაც, სულ 12 კაცს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი გადაეცა საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის სამგორის რაიკომის პირველ მდივანს **დ. ვ. გელაშვილს,** რომელიც დაჯილდოებულია დაბადებიდან ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის.

სიგელი საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ გადაეცა პროფესორ **ნ. ვ. ქაშაკაშვილს.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი გადაეცა საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს უფროსს **მ. თ. ჩიხლაძეს,** დაჯილდოებულს დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის.

სიგელები საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ გადაეცათ რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს უროლოგიური განყოფილების გამგეს **ვ. დ. ბაბუხადიას,** ქ. თბილისის 1-ლი საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგეს **გ. ი. გურგენიძეს,** სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკს **ვ. დ. ჩიხლაძეს** და სხვებს, სულ 12 კაცს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები გადაეცათ გუმათის № 1 ჰიდროელექტროსადგურის და მინგეჩაურჰეს-თბილისის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლებს.

საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს სამ მუშაკს გადაეცა სიგელები საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა ბ. ა. ჩხეიძემ, ტრესტ „ამიერკავკასიის ელექტროქსელმშენის" მოწყობილობათა განყოფილების უფროსმა შ. ი. ბოკერიამ და ქ. თბილისის 1-ლი საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგემ გ. ი. გურგენიძემ.

დასასრულ დაჯილდოებულთ სიტყვით მიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **მ. დ. ჩუბინიძემ,** რომელმაც გულწრფელად მიულოცა მათ მთავრობის მაღალი ჯილდოების მიღება და უსურვა წარმატებანი მუშაობაში.

(საქდესი).

ეთიოპიის იმპერატორის ჰაილე სელასიე I-ის მომავალი ვიზიტის შესახებ საბჭოთა კავშირში

იმ მოწვევის შესაბამისად, რომელიც ადრე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა გაგზავნა და მისმა უდიდებულესობამ ეთიოპიის იმპერატორმა ჰაილე სელასიე I-მა მიიღო, მიღწეულია შეთანხმება, რომ იმპერატორის ოფიციალური ვიზიტი სსრ კავშირში უახლოეს დროში მოხდება.

გავაძლიეროთ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადება

ფიზკულტურისა და სპორტის აქტივის კრება

26 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის აქტივის კრება პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად.

მოხსენება საქართველოს სსრ სპარტაკიადის მოწყობისა და სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადისათვის რესპუბლიკის სასპორტო დელეგაციის მომზადების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ვ. დ. ჯავახიშვილმა.**

— სსრ კავშირის ხალხთა პირველმა სპარტაკიადამ, — ამბობს მომხსენებელი, — დაგვანახა, რომ ფიზკულტურა და სპორტი მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ყოფაცხოვრებაში.

კომუნისტური მშენებლობის პროგრამა, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ დასახა, ახალ ხელსაყრელ შესაძლებლობებს ქმნის იმისათვის, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი ჩვენს ქვეყანაში ნამდვილი მასობრივი და საერთო სახალხო მოძრაობა გახდეს. სწორედ ამ მიზნებს ემსახურება ისეთი მასობრივი შეჯიბრებები, როგორიც არის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადები. ახლა საქართველოს მეგზალი საზოგადოებრიობის წინაშე დასმულია პასუხსაგები ამოცანა — დროზე მოეამზადოს სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადისათვის. რომელიც მიმდინარე წლის აგვისტოში გაიმართება მოსკოვში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გამოიანგარიშეს ინდივიდუალური ნაკლოვანებანი ჩვენ ახალგაზრდებში. აბა ამ ბატკნებს გადაახედეთ, არც ერთი არ უოქვია ხამალი და უდღეური.

დამშვიდებული და კმაყოფილი წამოვიდნენ თავმჯდომარე და რაიონის მთავარი ზოოტექნიკოსი. ამოვლისას მეძროხეობის ფერმაში შეუხვიეს.

საძროხეში მხოლოდ მწველავი ივანე კირვალიძე იყო.

უზარმაზარი მექანიზებული ფერმის ბოლოში ახალმოგებული ხბოები დაკუნტრუშებენ, ხის მესერს აწყდებიან, მზიანი ამინდია და განავარდება უნდათ, მაგრამ ახალგაზრდა მეხბორეები სოსო ქურთიაშვილი და ჯემალ ჯადუგიშვილი გარეთ არ უშვებენ, ცივ ნიავს არ აკარებენ.

ჯიშიან ძროხებს კი კომკავშირელი მწველავები ტარიელ ბაწაშვილი და გივი ჯამასპიშვილი უვლიან. შარშან მათ პირნათლად შეასრულეს დანაპირები: თვითეულ ძროხაზე ხუთი ათას ლიტრზე მეტი რძე მიიღეს. რით აღწევენ ამ წარმატებას? ამაზე თვით ის დაკრიალებული ადგილი მეტყველებს, სადაც ძროხები აბია. ახალგაზრდა მწველავები ენერგიას არ ზოგავენ, რომ სასახელოდ გაანადონ წელს აღებული ვალდებულება — თვითეულ ძროხაზე მიიღონ 5.200 ლიტრი რძე. ორთვენახევარში თვითეულ ძროხაზე უკვე 500-500 ლიტრი რძე მოწველეს.

— ბიჭებო, რუხელებთან არ უნდა შეერცხვეთ, ხომ გახსოვთ, სოცშეჯიბრებაში რომ გამოვწვეთ, — უთხრა კომკავშირის ორგანიზაციის მდივანმა ი. ჯადუგიშვილმა.

— ბევრი კარგი გვსმენია რუხელებზე, მაგრამ არც ჩვენ ჩამოვუვარდებით. ვფიქრობთ ვაჯობოთ კიდეც, — შეეხმიანა მწველავი ტ. ბაწაშვილი.

— ვინ ვის აჯობებს, მარტო ეს რომაა საქმე. რაც ვიკისრეთ, გადაჭარბებით უნდა შეეასრულოთ, — თქვა ჯადუგიშვილმა.

—წელს კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის მუშაკებმა ვალდებულება აიღეს, — ამბობს ახალგაზრდა ზოოტექნიკოსი ე. ჯამასპიშვილი, — თვითეულ ძროხას 2.200 ლიტრი მოწველონ და ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულზე 300 ცენტნერი რძე მიიღონ.

... აი ეს გოგონები მექათმეობის ფერმაში მუშაობენ. არავის არაფერში არ ჩამორჩებიან. ახლა ხუთი ათას წიწილას ზრდიან. შრომასთან ერთად დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებიან. მათი ამხანაგი ლ. ყარამანიშვილი კი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დაუსწრებლად სწავლობს, უკვე მეორე კურსის სტუდენტია.

— რა სჯობია იმას, რომ კიდევაც სწავლობდე და სახალხო დოვლათსაც ქმნიდე, — ამბობს იგი.

ამავე აზრისა არიან ნანული დურგლიშვილი, ლაურა ჯადუგიშვილი, ეთერ ქუმსიაშვილი, გულიკო ბერიძიშვილი, ჟუჟუნა ბეჟაშვილი და სხვები. მათ შარშან დაამთავრეს საშუალო სკოლა და მექათმეობის ფერმაში დაიწყეს მუშაობა. კოლმეურნე ქალიშვილების ვალდებულება წელს თვითეულმა გაზარდოს ათასი ფრთა ქათამი.

მეცხვარეობის, მეძროხეობის, მეღორეობისა და მექათმეობის ფერმებში მთლიანად ახალგაზრდები მუშაობენ. აქ საშუალო სკოლის ოცდაათამდე კურსდამთავრებული მუშაობს. წელსაც ბევრი ახალგაზრდა წავა სამუშაოდ. ასე გადაწყვიტეს მეათეკლასელებმა.

— მეცხოველეობის ფერმებში მუშაობა არცთუ იოლია. წინათ ფერმებში სულ მოხუცები მუშაობდნენ. ამიტომაც გადავწყვიტეთ, — ამბობს კოლმეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი, — გავუადვილოთ ეს სამუშაო ხანში შესულ კოლმეურნეებს. ისინი იოლ საქმეზე იმუშავებენ. კოლმეურნეობის შვიდწლიანი გეგმით მეცხოველეობაში გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულება ძირითადად ჩვენ ვიტვირთეთ.

ვ. ბოჯალიშვილი.

სოფელი ბაკურციხე, გურჯაანის რაიონი.

სურათებზე: გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის მეფრინველეობის ფერმის წიწილების მომვლელი ნ. დურგლიშვილი და მეცხვარეობის ფერმის გამგე ვ. ქუმსიაშვილი.

სურათზე: ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის ახალგაზრდების ერთი ჯგუფი, რომლებმაც მოიწონეს ბაკურციხელთა გამოწვევა.

ახალგაზრდებო, შვიდწლედი გვიხმობს!

ორი კოლმეურნეობის ახალგაზრდობის შეჯიბრება

1 იმ ღამეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე შალვა ნიბლაძეს ხელრიანად არც კი სძინებია. ინათა თუ არა, ჯერ ფარეხებისაკენ გაუწია გულმა. დოლი დაიწყო, ცხვარი როგორ არისო, მწყემსებს ხომ არაფერი აკლიათ, ან იქნებ უჭირთ რამეო.

— როგორ არის საქმე, ვანო, პირობაზე როგორა ხარ?

— პირი პირია... ხომ გითხარი, ერთ ბატკანსაც არ მოვკლავთ. თვალისჩინივით უფრთხილდებიან ჩვენი ახალგაზრდები. აბა ამ ბატკნებს გადახედეთ, არც ერთი არ უოქვია ხამალი და უდღეური.

დამშვიდებული და კმაყოფილი წამოვიდნენ თავმჯდომარე და რაიონის მთავარი ზოოტექნიკოსი. ამოვლისას მეძროხეობის ფერმაში შეუხვიეს.

საძროხეში მხოლოდ მწველავი ივანე კირვალიძე იყო.

უზარმაზარი მექანიზებული ფერმის ბოლოში ახალმოგებული ხბოები დაკუნტრუშებენ, ხის მესერს აწყდებიან, მზიანი ამინდია და განავარდება უნდათ, მაგრამ ახალგაზრდა მეხბორეები სოსო ქურთიაშვილი და ჯემალ ჯადუგიშვილი გარეთ არ უშვებენ, ცივ ნიავს არ აკარებენ.

ჯიშიან ძროხებს კი კომკავშირელი მწველავები ტარიელ ბაწაშვილი და გივი ჯამასპიშვილი უვლიან. შარშან მათ პირნათლად შეასრულეს დანაპირები: თვითეულ ძროხაზე ხუთი ათას ლიტრზე მეტი რძე მიიღეს. რით აღწევენ ამ წარმატებას? ამაზე თვით ის დაკრიალებული ადგილი მეტყველებს, სადაც ძროხები აბია. ახალგაზრდა მწველავები ენერგიას არ ზოგავენ, რომ სასახელოდ გაანადონ წელს აღებული ვალდებულება — თვითეულ ძროხაზე მიიღონ 5.200 ლიტრი რძე. ორთვენახევარში თვითეულ ძროხაზე უკვე 500-500 ლიტრი რძე მოწველეს.

— ბიჭებო, რუხელებთან არ უნდა შეერცხვეთ, ხომ გახსოვთ, სოცშეჯიბრებაში რომ გამოვწვეთ, — უთხრა კომკავშირის ორგანიზაციის მდივანმა ი. ჯადუგიშვილმა.

— ბევრი კარგი გვსმენია რუხელებზე, მაგრამ არც ჩვენ ჩამოვუვარდებით. ვფიქრობთ ვაჯობოთ კიდეც, — შეეხმიანა მწველავი ტ. ბაწაშვილი.

— ვინ ვის აჯობებს, მარტო ეს რომაა საქმე. რაც ვიკისრეთ, გადაჭარბებით უნდა შეეასრულოთ, — თქვა ჯადუგიშვილმა.

—წელს კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის მუშაკებმა ვალდებულება აიღეს, — ამბობს ახალგაზრდა ზოოტექნიკოსი ე. ჯამასპიშვილი, — თვითეულ ძროხას 2.200 ლიტრი მოწველონ და ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულზე 300 ცენტნერი რძე მიიღონ.

... აი ეს გოგონები მექათმეობის ფერმაში მუშაობენ. არავის არაფერში არ ჩამორჩებიან. ახლა ხუთი ათას წიწილას ზრდიან. შრომასთან ერთად დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებიან. მათი ამხანაგი ლ. ყარამანიშვილი კი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დაუსწრებლად სწავლობს, უკვე მეორე კურსის სტუდენტია.

— რა სჯობია იმას, რომ კიდევაც სწავლობდე და სახალხო დოვლათსაც ქმნიდე, — ამბობს იგი.

ამავე აზრისა არიან ნანული დურგლიშვილი, ლაურა ჯადუგიშვილი, ეთერ ქუმსიაშვილი, გულიკო ბერიძიშვილი, ჟუჟუნა ბეჟაშვილი და სხვები. მათ შარშან დაამთავრეს საშუალო სკოლა და მექათმეობის ფერმაში დაიწყეს მუშაობა. კოლმეურნე ქალიშვილების ვალდებულება წელს თვითეულმა გაზარდოს ათასი ფრთა ქათამი.

მეცხვარეობის, მეძროხეობის, მეღორეობისა და მექათმეობის ფერმებში მთლიანად ახალგაზრდები მუშაობენ. აქ საშუალო სკოლის ოცდაათამდე კურსდამთავრებული მუშაობს. წელსაც ბევრი ახალგაზრდა წავა სამუშაოდ. ასე გადაწყვიტეს მეათეკლასელებმა.

— მეცხოველეობის ფერმებში მუშაობა არცთუ იოლია. წინათ ფერმებში სულ მოხუცები მუშაობდნენ. ამიტომაც გადავწყვიტეთ, — ამბობს კოლმეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი, — გავუადვილოთ ეს სამუშაო ხანში შესულ კოლმეურნეებს. ისინი იოლ საქმეზე იმუშავებენ. კოლმეურნეობის შვიდწლიანი გეგმით მეცხოველეობაში გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულება ძირითადად ჩვენ ვიტვირთეთ.

ვ. ბოჯალიშვილი.

სოფელი ბაკურციხე, გურჯაანის რაიონი.

* * *

2 გაზეთი ხელიდან ხელში გადადიოდა. ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის ახალგაზრდები ინტერესით კითხულობდნენ ბაკურციხელთა მოწოდებას — ჩაებან მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში.

რუხელმა ახალგაზრდა კოლმეურნეებმა მიმართვა განიხილეს ღია კომკავშირულ კრებაზე. ერთსულოვნად მოიწონეს იგი, თვითონაც აიღეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი.

შვიდწლედის პირველ წელს რუხელი ახალგაზრდა მეცხოველეები ძროხის საშუალო წველადობას აიყვანენ 3.200 კილოგრამამდე, იმ გარაუდით, რომ ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მიიღონ 670 ცენტნერი რძე. სანიმუშოდ მოაწყობენ პირუტყვის მოვლასა და სუქებას, რათა ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე აწარმოონ 85 ცენტნერი ხორცი. წელს კოლმეურნეობა აწარმოებს 600 ცენტნერ ხორცს. თვითეულ კვერცხმდებელ დედალზე მიიღებენ 90 ცალ კვერცხს. საინკუბატორო სადგურიდან გამოიყვანენ 2 ათას წიწილას, გაზრდიან მათს 95 პროცენტს. წელს რუხელი ახალგაზრდები თვითეულ დედა ღორზე მიიღებენ და გაზრდიან 22 გოჭს. გაასუქებენ 300 ღორს და თვითეულს 70-80 კილოგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალი სიტყვის ოსტატი

პროპაგანდისტი

მოსალამოვდა. ილიჩის ნათურებმა გააჩირაღდნეს კოლმეურნეთა სახლები. საკოლმეურნეო კანტორის ორსართულიანი შენობა გაკაშკაშებულია. ერთ-ერთ ოთახში თავს იყრიან მემინდვრეები, მეცხოველეები, მექანიზატორები. ერთს წიგნი უჭირავს, მეორეს — წითელი ფანქრით მონიშნული გაზეთები, ნაწილი კი კონსპექტს ჩასცქერის.

— დღეს საქართველოს კომპარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის მორიგი მეცადინეობაა, — მისალმებისთანავე გვითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვახტანგ რომელაშვილმა და დაუმატა: ამჟამად პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მასალებს ვსწავლობთ. ეს მთავარია ახლა.

ორიოდე წუთი, და მაღალი ტანის, ქერათმიანი ახალგაზრდა შეუდგა წრის მსმენელების სიის ამოკითხვას. სუფთად, ლამაზი ხელით ნაწერი სიიდან რიგით ასახელებს მსმენელებს — ფერმის გამგეებს, ბრიგადირებს, მექანიზატორებს...

პროპაგანდისტს რომანოზ მიდოდაშვილს, პარტიის სტალინირის რაიკომის ინსტრუქტორს, დღეს მსმენელებთან მესამე მეცადინეობა აქვს პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მასალებზე.

მსმენელთა დასწრების შემოწმების შემდეგ რომანოზი ფეხზე წამოდგა, აუდიტორიას გადახედა და თვალსაჩინო მასალები შეათვალიერა. კედლებზე გაკრულია რუკები, კოლმეურნეობის წარმატებათა ამსახველი დიაგრამები, არტელის შვიდწლიანი გეგმის მონაცემები.

— წინა მეცადინეობაზე ჩვენ დავამთავრეთ პირველი თემა — „საბჭოთა კავშირის განვითარების ახალი პერიოდი, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდი“. ახლა გავიხსენოთ ზოგიერთი ძირითადი საკითხი ამ თემიდან, — თქვა პროპაგანდისტმა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე ნ. მჭედლიძე, მოანგარიშე ვ. ტურაშვილი, ფერმის გამგე მ. მიდოდაშვილი, უპასუხებენ რა პროპაგანდისტის მიერ გასაგებად და მკაფიოდ დაყენებულ კითხვებზე, ლაპარაკობენ იმ უდიდეს წარმატებაზე, რასაც ჩვენმა ქვეყანამ უკანასკნელ წლებში მიაღწია, მსჯელობენ ღრმა თეორიულ საკითხებზე, რომლებიც განხილულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში. ყველას სურს მონაწილეობა მიიღოს საკითხების გაშუქებაში. ალაგ-ალაგ პროპაგანდისტი უსწორებს არაზუსტ გამოთქმებს, აღრმავებს გამოთქმულ აზრს, მარტივი, გასაგები ენით განმარტავს რთულ საკითხებს. მსჯელობა განსაკუთრებით საინტერესო ხდება მაშინ, როცა წრის წევრები ადგილობრივ ფაქტებს იშველიებენ.

პროპაგანდისტი დარწმუნდა, რომ საკითხი შესწავლილია, და იწყებს ახალი მასალის გადაცემას. დღევანდელი მეცადინეობის თემაა: „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები“.

რ. მიდოდაშვილი

* * *

პროპაგანდისტი ლაპარაკობს ახალ შვიდწლიან გეგმაზე, რომელიც პარტიის ლენინური ხაზის კონკრეტული განსახიერებაა თანამედროვე ეტაპზე, ფართოდ ეხება სოციალიზმის კაპიტალიზმთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში დროის მაქსიმალური მოგების პრობლემას — შვიდწლიანი გეგმის ამ ძირეულ პრობლემას, სოციალიზმის საწარმოო ძალების შემდგომი აღმავლობის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საკითხებს.

მსმენელთა წინაშე იშლება შვიდწლედის ნათელი სურათები, მრეწველობის, განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიის განვითარების, სოფლის მეურნეობის ახალი მკვეთრი აღმავლობის გრანდიოზული ციფრები.

კიდევ უფრო ცოცხლად, საინტერესოდ წარიმართა საუბარი, როცა იგი შეეხო კოლმეურნეობის ამოცანებს შვიდწლედში. სოფელ არგვიცის კოლმეურნეობას დიდი პერსპექტივები დაუსახავს: ერთიორად გაიზრდება მეცხოველეობის პროდუქტიულობა, მარცვლეულის მოსავლიანობა, გაშენდება 40 ჰექტარი ხეხილის ბაღი და 20 ჰექტარი ვენახი.

პროპაგანდისტის თხრობის მემდეგ მსმენელებმა დააყენეს რამდენიმე საკითხი და მონაწილეობა მიიღეს ამ საკითხების გაშუქებაში. ილაპარაკეს კოლმეურნეობის შვიდწლიანი გეგმისა და სოფლის კეთილმოწყობის საჭირბოროტო საკითხებზე. მეცადინეობის დასასრულს პროპაგანდისტმა მსმენელებს მიუთითა, რომელ საკითხებზე გაამახვილონ ყურადღება და რა ლიტერატურა გამოიყენონ.

* * *

რომანოზ მიდოდაშვილს შვიდი წლის პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილება აქვს. ხელმძღვანელობდა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელ წრეს სტალინირის № 4 საშუალო სკოლაში, მუშაობდა პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტად ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. ამჟამად თავის მშობლიურ სოფელ არგვიცში საქართველოს კომპარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეს ხელმძღვანელობს. იგი იცნობს სოფლის თვითეულ ადამიანს, კოლმეურნეობის ავ-კარგს, არტელის მიღწევებსა და ნაკლოვანებებს. რომანოზი ბევრს კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას, მოფიქრებულად იყენებს მას მსმენელებთან საუბრის დროს. მიდოდაშვილს ხშირად ნახავთ კოლმეურნეებთან მინდორში, ფერმაში. სოფლების ერედვის, ვანათის და სარაბუკის კოლმეურნეობებთან არსებული წრეების პროპაგანდისტებთან აწყობს საუბრებს, უზიარებს მათ თავის გამოცდილებას. პარტიის რაიკომის დავალებით ხელმძღვანელობს საქართველოს კომპარტიის ისტორიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტთა სემინარს.

საბჭოთა ადამიანები უდიდესი ინტერესით ეცნობიან შვიდწლიანი გეგმის გრანდიოზულ ამოცანებს. მშრომელთა აქტივობა წარმატების საწინდარია. პროპაგანდისტი რომანოზ მიდოდაშვილი დიდ. კეთილშობილურ საქმეს ემსახურება — რაზმავს მშრომელებს შვიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ქართული პრესის ისტორიის ამსახველი გამოფენა

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კაბინეტში მოეწყო საინტერესო გამოფენა თემაზე: „XIX საუკუნის ქართული პერიოდული პრესა და რედაქტორ-გამომცემლები“.

სპეციალურ სტენდზე მოთავსებულია ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, სოლომონ დოდაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის, გიორგი წერეთლის, პლატონ იოსელიანის და სხვა სახელოვანი მწერლების, პოეტების და საზოგადო მოღვაწეების ფოტოსურათები. აქვეა ჩვენი გამოჩენილი ქართველი ჟურნალისტი ქალების ანასტასია, თუმანიშვილი-წერეთლის, მარიამ დემურიას და ნინო ნაკაშიძის პორტრეტები.

გამოფენაზე წარმოდგენილია საქართველოში იმ დროს არსებული თითქმის ყველა ჟურნალისა და გაზეთის თავფურცელი თავისი წარწერით: როდის გამოვიდა, ვინ რედაქტორობდა და როდის დაიხურა.

მნახველთა ყურადღებას იპყრობს პირველი ქართული პერიოდული ორგანო „საქართველოს გაზეთი“, რომელიც 1819 წლის 8 მარტს გამოვიდა. 1828 წელს დაარსდა „ტფილისის უწყებანი“, რომელსაც 1832 წლიდან გაუჩნდა დამატება „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. ეს უკანასკნელი იყო პირველი ქართული ჟურნალი, გამოდიოდა თვეში ორჯერ სოლომონ დოდაშვილის რედაქტორობით.

გამოფენამ დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ახლა ჟურნალისტიკის კათედრა აწყობს მეორე გამოფენას თემაზე „ბოლშევიკური პრესა“.

რ. ჩაჩუა.

აკაკი წერეთლის მხატვრული პროზა

კრიტიკა ბიბლიოგრაფია

თხზულებათა აკადემიური გამოცემის VII და VIII ტომების გამო

ჩვენი კლასიკოსების ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თხზულებათა აკადემიურ გამოცემებს, სადაც დადგენილია კანონიკური ტექსტი, ნაჩვენებია ვარიანტული სხვაობანი, მოცემულია კომენტარი.

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ქართველ კლასიკოსთა ნაწერების გამოცემის საქმე ჯერ კიდევ ვერ დგას სასურველ დონეზე: ქართველ მწერალთა აკადემიური გამოცემები ჯერჯერობით თითზე ჩამოსათვლელია. ამიტომ ყოველი ახალი ნაბიჯი ამ მიმართულებით მისასალმებელია, ჩოლო ამ ტიპის გამოცემათა ყოველი ტომი სპეციალურ ყურადღებას იმსახურებს.

ახლახან მკითხველმა მიიღო აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის VII და VIII ტომები, რომლებშიც წარმოდგენილია მწერლის მხატვრული პროზა (ტომების რედაქტორია გ. აბზიანიძე, ტექსტი და ვარიანტები დამუშავებულია ა. კენჭოშვილის მიერ).

სარეცენზიო გამოცემაში აკაკის პროზა „ჩემი თავგადასავლითა“ და „ბაში-აჩუკით“ იხსნება. ამით წინ არის წამოწეული დიდი ქართველი მწერლის უმნიშვნელოვანესი პროზაული თხზულებანი, თუმცა ერთგვაროვად დარღვეულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობის პრინციპი, რაც აკადემიურ გამოცემებში საერთოდ არის გატარებული.

აკაკი წერეთლის მხატვრულ პროზაზე რომ ჩამოვარდება საუბარი, მართლაც პირველ რიგში სწორედ „ბაში-აჩუკი“ და „ჩემი თავგადასავალი“ გაგვახსენდება. მაგრამ, საერთოდ, აკაკის პროზაულ ნაწარმოებთა რიცხვი 60-ს აღემატება.

ამ ნაწარმოებთა ერთი ნაწილი ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილია, ზოგიერთი მთავანი კი დღემდე სპეციალისტებსაც ვერ შეუნიშნავთ და აკაკის ნაწერების არც ერთ წინანდელ გამოცემაში არ ყოფილა შეტანილი. ახალ გამოცემაში პირველად იბეჭდება ხუთი მოთხრობა: „ბროწეულის წყარო“, „ბენია და ბეშტია“, „ბეშტია და ბენია“, „სოფელ ალის ამოხრება“ და „როგორ გადაყვა თავადი გოჯასპარ თავის ულვაშებს“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკაკის თხზულებათა ძირითად ტექსტში შეტანილი არ არის ისტორიული ქრონიკა „სოლომონ პირველი დიდი, იმერეთის მეფე“, რომელიც დამატების სახით ერთვის VIII ტომს. რედაქციის ამგვარი ნაბიჯი სავსებით გამართლებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან არსებობს სარწმუნო ნიშნები, რომ ეს ნაწარმოები უმუალოდ აკაკის კალამს არ ეკუთვნის. იგი თავდაპირველი სახით ჩაწერილი ყოფილა ზეპირგადმოცემების ცნობილი შემკრების სიკო კანდელაკის მიერ. მაგრამ ს. კანდელაკის ჩანაწერს უდავოდ ატყვია აკაკის რედაქტორული მუშაობის კვალი. ამიტომ არის, რომ ეს ნაწარმოები შედის დამატებაში, როგორც აკაკის ლიტერატურული რედაქციით დამუშავებული.

აკაკის თხზულებათა თვითეულ ტომს ერთვის ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარები და ტომში მოთავსებულ თხზულებათა ვარიანტების სრული ჩვენება. რედაქტორის შენიშვნებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა „ჩემი თავგადასავლის“ კომენტარები, სადაც გარკვეული და დაზუსტებულია აკაკის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული ზოგიერთი საინტერესო ფაქტი, მაგალითად, ცნობები აკაკის ძიძის — მანო სადუნიშვილისა და ჰოტის ყველაზე საყვარელი და პროგრესული მასწავლებლის — როდზევიჩის შესახებ, ამასთანავე ამოხსნილია მთელი რიგი ინიციალები და დაშიფრული პიროვნებანი (მაგალითად, ახმედფაშა კახაბერი — გრ. ორბელიანი, ისკანდერ-ბეგი — ალ. ორბელიანი და სხვ.). აქვე რედაქტორი ასწორებს და აზუსტებს მწერლის უნებლიე შეცდომებს, როგორიც არის აღრეკა დავით და გრიგოლ დადიანებისა (კოლხიდელის) (გვ. 366), დიმ. ყიფიანის ალეგორიული ზღაპრის სათაურისა (გვ. 367) და სხვ.

დასასრულ, გამოცემის დიდი ღირსებაა ვარიანტების სრულად წარმოდგენა. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით არც ერთი ქართველი მწერლის თხზულებათა კრებული არ გამოცემულა ვარიანტების ასეთი სრული და დაწვრილებითი ჩვენებით, რაც საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ მწერლის შემოქმედებითის ლაბორატორიას და ამა თუ იმ ნაწარმოების გამოქვეყნების ისტორიას.

აკაკის ნაწარმოებთა უმეტესობა ავტორის სიცოცხლეში რამდენჯერმე არის გამოქვეყნებული. ხელახლა დაბეჭდვისას მწერალს ტექსტში შეჰქონდა სხვადასხვა ხასიათის მრავალი შესწორება, რომელთა გათვალისწინებაც, ავტოგრაფულ მონაცემებთან ერთად, აუცილებელია საბოლოო ტექსტის დასადგენად.

სარეცენზიო გამოცემაში გამოვლინებული ზოგიერთი ნაწარმოების მანამდე უცნობი ვარიანტები, როგორიც არის მოთხრობის „პატარა ტარიელის“ ავტოგრაფი, „ახმედ-ფაშა კახაბერის“, „პატრიოტის აღსარების“, „დამწრას“, „მერცხლისა და ჭიკჭიკის ომისა“ და სხვათა ხელნაწერი ასლები და ა. შ. ყოველი მოთხრობა შედარებულია ავტოგრაფთან, ასლთან და მწერლის სიცოცხლეში ნაბეჭდ ტექსტებთან. ძირითადი ტექსტის დადგენისას უპირატესობა ენიჭება ავტოგრაფს და მწერლის სიცოცხლეში დაბეჭდილი თხზულების უკანასკნელ რედაქციას (დანარჩენ წყაროებში არსებული ტექსტობრივი სხვაობა დაწვრილებით არის ნაჩვენები ვარიანტებში).

ვარიანტების შესწავლისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე გასწორებულია კორექტურული თუ სხვა სახის შეცდომები ძირითად ტექსტში. ტექსტის გასამართავად და დასადგენად სარეცენზიო გამოცემის რედაქციის დიდი მუშაობა გაუწევია, მართებულად შეუცვლია და გასწორებულია მრავალი ადგილი, რომელიც წინა გამოცემებში დამახინჯებულად იბეჭდებოდა. მაგალითად, სასახლისაკენ (წინათ იბეჭდებოდა: სახლისაკენ), მეფემ დაჯერინა (წინათ იბეჭდებოდა: დაჯერა), სამუშაოდ ხელს აღარ ანძარევსო (წინათ იბეჭდებოდა: სამუდამოდ). „ჩემი თავგადასავლის“ ერთი ადგილი წინათ ასე იყო წარმოდგენილი: „ფაცერსაც ბევრჯერ ვწოლილვარ“. ეს გრამატიკულად გაუმართავი ფრაზა წარმომდგარა მსჭვალი კორექტურული შეცდომის სიდიდგზე: გამორჩენილია რამდენიმე სიტყვა, რომელთა აღდგენის შემდეგ ახალ გამოცემაში ფრაზა ასეა გამართული: „ფაცერსაც ბევრჯერ მოვდგომივარ და გარეთაც ბევრჯერ ვწოლილვარ“ (გვ. 52).

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რედაქცია ამ მხრივ ცოტა შორს მიდის და ზოგჯერ ვარიანტებიდან ისეთი ეპიზოდიც კი გადმოაქვს ძირითად ტექსტში, რომელიც შემდგომში თვითონ ავტორს ზედმეტად მიუჩნევია და ბოლოდროინდელ გამოცემებში აღარ დაუბეჭდავს (მაგალითად, გვ. 33). ასეთ შემთხვევაში რედაქცია ავტორისეულ საბოლოო ტექსტს უნდა დაყრდნობოდა.

დაბოლოს, რამდენიმე სიტყვა უნდა თქვას ენობრივ ფორმათა გასწორების გამო. აკაკი წერეთელი ახალი სალიტერატურო ქართულის ერთ-ერთი ფუძემდებელია, მაგრამ, ცხადია, მის მიერ ნახმარი ყველა სიტყვა თუ ენობრივი ფორმა არ არის ლიტერატურულად სწორი, მით უფრო, თუ მათ შევაფასებთ დღევანდელი სალიტერატურო ენის ნორმათა პოზიციებიდან. ჩვენს სალიტერატურო ენაში ბოლო დროს ბევრი რამ დადგენდა და ამიტომ დღეს აღარ იხმარება ზოგი ისეთი ფორმა, რომლებიც ილიას, აკაკის ან სხვა ჩვენი გამოჩენილი მწერლების ენაში გვხვდებოდა.

საქმეში ჩაუხედავ ზოგიერთ პირს ჰგონია, რომ ამგვარი ფორმები ჩვენი კლასიკოსების ნაწერებში შეიძლება განურჩევლად ვასწოროთ და უნდა ვასწოროთ დღევანდელი ნორმების მიხედვით. მათ რომ ავყვეთ, ადვილი წარმოსადგენია, სადამდე მივა საქმე. ენის ნორმები, როგორც ცნობილია, სისტემატურად იცვლება, იხვეწება. თუ ჩვენ ამის მიხედვით ვასწორეთ კლასიკოსთა ნაწერები, ყოველი 40-50 წლის შემდეგ (თუ უფრო ადრე არა!) მივიღებთ მათ ახალ-ახალ რედაქციას, რომელსაც თანდათანობით უფრო ნაკლები ექნება საერთო ავტორის ტექსტთან.

აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემა ამ მხრივ ძირითადად სწორ ნიადაგზე დგას, მაგრამ ცალკეული შენიშვნები მაინც საჭიროა. მაგალითად, აკაკის მოთხრობების ტექსტში გასწორებულია ასეთი ფორმები: იმოდენი (იმდენი), რამოდენი (რამდენი), თვალიეროობა (თვალიერება), ერთმანეთს (ერთმანეთის), დაეღრჩო (დაეხრჩო), ცალიერი (ცარიელი), საათიდგან (საათიდან), ორნივე (ორივე), იმღერდნენ (იმღეროდნენ), ქექეთ (ქეჭეთ), და ა. შ. ყველა ეს გასწორება, ჩვენი აზრით, უადგილო და შეუწყნარებელია. აქ ჩამოთვლილთა შორის ზოგიერთი აკაკისეული ფორმა ისტორიულად უფრო სწორია, ხოლო დანარჩენები სისტემატურად გვხვდება XIX ს. მწერალთა ნაწერებში. მათი გასწორება ჩქმალავს ეპოქის კვალს აკაკის ენაში და არც მკითხველს სჭირდება აზრის უკეთ გაგებისათვის, გაუმართლებელია ისიც, რომ რედაქციის ერთი და იგივე ფორმები ზოგან გაუსწორებია, ზოგან კი არა.

უნდა დავასკვნათ, რომ ამ შენიშვნების მიუხედავად, აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემა ჩვენი კულტურის მნიშვნელოვანი შენაძენია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ VII და VIII ტომებს რაც შეიძლება მალე მოჰყვება მომდევნო ტომებიც, სადაც უნდა დაიბეჭდოს აკაკის დრამატული და პუბლიცისტური ნაწერები, აგრეთვე პირადი წერილები. მათი გამოცემით დიდი ქართველი კლასიკოსის ლიტერატურული მემკვიდრეობა სრული სახით გახდება ხელმისაწვდომი მკითხველთა ფართო წრეებისათვის.

ზ. ჰუმბურიძე,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ისევ ზორეულ ნოღაეთში

ტყუილად როდი ადარებენ მარტს ქეკლუც არსებას, რომელიც დღეში რამდენჯერმე იცვლის ხასიათს. ეს განსაკუთრებით ითქმის წლევანდელ მარტზე. სადაც არის აპრილი დადგება, მაგრამ ნოღაეთში გაზაფხულის სუნთქვა არ იგრძნობა, სადღაც ჩრდილოეთში ამოვარდნილი ქარი რამდენიმე დღე მშიერი მგელივით ღმუოდა, მინდვრებში თოვლის კორიანტელს აყენებდა, ტელეგრაფის მავთულებს გლეჯდა. ესეც არაფერი, ზღვის უზარმაზარ ტალღებს ხმელეთზე ერეკებოდა. იქ, სადაც ერთი კვირის წინათ ცხვარი ძოვდა, ახლა ზღვაა გადმოსული, ნამდვილად გაიხარებენ ქართველი მწყემსები, რომლებსაც ბირუზიაკის მასივში აქვთ ბინები, ქარისაგან გადმოსროლილ ტალღებს ხომ თევზიც მოჰყვება, დაიწრტება წყალი, და მერე რამდენიც გინდა კოფე კობრი და ქაშაყი. ამას დიუმატეთ გარეული ღორი, რომელიც ზღვის გადმოვარდნისას ლაქაშებს ტოვებს და შეშინებული საძოვრებზე გამორბის.

მაგრამ მწყემსებს ახლა თევზობისა და ნადირობის დრდი როდი აქვთ. კასპიისპირეთის უსასრულო სივრცეებზე ორი კვირაა მასობრივად გაჩაღდა დოლი. ახლა აქ მყოფ ადამიანებს უამრავი საქმე აქვთ, ღამეებს თეთრად ათენებენ. სხვანაირად არც შეიძლება. დოლი ხომ მეცხვარეობაში ისეთივე პასუხსაგები საქმეა, როგორც მემინდვრეობაში მოსავლის აღება.

...ავტომანქანა ჩრონი რინოკის მთავარ ქუჩას გასცდა თუ არა, მაშინვე ზღვასავით უსასრულო ველები დაიწყო. ასეთ ამინდში, როგორც იტყვიან, კარგი პატრონი ძაღლს გარეთ არ გაგიგდებს. კვლავ დაუდალავად ღრიალებდა ქარი, დაგლეჯილი ნაბდის მსგავსი ღრუბლები მიფარფატებდნენ, აღარც ველის ჯეირნები ჩანდნენ, ნოღაეთში ათასობით რომ დარბიან, ვერც ველის არწივი შეეამჩნიეთ ჰაერში ამაყად გარინდული.

— ნეტავი, როდის ჩადგება ეს დაწყეულილი ქარი? — ვეკითხებით გიორგი ტატიშვილს, ყაზბეგის რაიონის სოფელ გორისციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

გიორგის გაეღიმა, ალბათ ფიქრობდა — დალოცვილებო. მსუბუქ მანქანაში ზიხართ და მაინც წუწუნებთ, აბა ერთი მწყემსივით მინდორში იდეთ, მაშინ რა გუნებაზე იქნებოდითო. მაგრამ ტატიშვილი ისეთი ტაქტის კაცი როდია, თავისი აზრი ხმამაღლა რომ ეთქვა, პირიქით დაგვიმეფდა: აი ნახეთ, თუ ხვალ ქარი არ ჩადგესო.

— როგორი დოლი გაქვთ?

— საუკეთესო, ასეთი დოლი ყარგა ხანია არ ყოფილა, — თქვა გიორგიმ.

ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, ჩვენმა შოფერმა სოლომონ გელაშვილმა წამოიყვირა:

— მგლები! აბა წინ გახედეთ.

პირველ წამებში ვერაფერი დავინახეთ, ქარისაგან ახეტილ მტვერში არაფერი ჩანდა, შემდეგ კი, როცა ყო. ასეთ ამინდში, როგორც იტყვიან, ქარგი პატრონი ძაღლს გარეთ არ გაგიგდებს. კვლავ დაუდალავად ღრიალებდა ქარი, დაგლეჯილი ნაბდის მსგავსი ღრუბლები მიფარფატებდნენ, აღარც ველის ჯეირნები ჩანდნენ, ნოღაეთში ათასობით რომ დარბიან, ვერც ველის არწივი შეეამჩნიეთ ჰაერში ამაყად გარინდული.

— ნეტავი, როდის ჩადგება ეს დაწყეულილი ქარი? — ვეკითხებით გიორგი ტატიშვილს, ყაზბეგის რაიონის სოფელ გორისციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

გიორგის გაეღიმა, ალბათ ფიქრობდა — დალოცვილებო. მსუბუქ მანქანაში ზიხართ და მაინც წუწუნებთ, აბა ერთი მწყემსივით მინდორში იდეთ, მაშინ რა გუნებაზე იქნებოდითო. მაგრამ ტატიშვილი ისეთი ტაქტის კაცი როდია, თავისი აზრი ხმამაღლა რომ ეთქვა, პირიქით დაგვიმეფდა: აი ნახეთ, თუ ხვალ ქარი არ ჩადგესო.

— როგორი დოლი გაქვთ?

— საუკეთესო, ასეთი დოლი ყარგა ხანია არ ყოფილა, — თქვა გიორგიმ.

ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, ჩვენმა შოფერმა სოლომონ გელაშვილმა წამოიყვირა:

— მგლები! აბა წინ გახედეთ.

პირველ წამებში ვერაფერი დავინახეთ, ქარისაგან ახეტილ მტვერში არაფერი ჩანდა, შემდეგ კი, როცა

საზამთრო საძოვრებზე

ყო. ასეთ ამინდში, როგორც იტყვიან, ქარგი პატრონი ძაღლს გარეთ არ გაგიგდებს. კვლავ დაუდალავად ღრიალებდა ქარი, დაგლეჯილი ნაბდის მსგავსი ღრუბლები მიფარფატებდნენ, აღარც ველის ჯეირნები ჩანდნენ, ნოღაეთში ათასობით რომ დარბიან, ვერც ველის არწივი შეეამჩნიეთ ჰაერში ამაყად გარინდული.

— ნეტავი, როდის ჩადგება ეს დაწყეულილი ქარი? — ვეკითხებით გიორგი ტატიშვილს, ყაზბეგის რაიონის სოფელ გორისციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

გიორგის გაეღიმა, ალბათ ფიქრობდა — დალოცვილებო. მსუბუქ მანქანაში ზიხართ და მაინც წუწუნებთ, აბა ერთი მწყემსივით მინდორში იდეთ, მაშინ რა გუნებაზე იქნებოდითო. მაგრამ ტატიშვილი ისეთი ტაქტის კაცი როდია, თავისი აზრი ხმამაღლა რომ ეთქვა, პირიქით დაგვიმეფდა: აი ნახეთ, თუ ხვალ ქარი არ ჩადგესო.

— როგორი დოლი გაქვთ?

— საუკეთესო, ასეთი დოლი ყარგა ხანია არ ყოფილა, — თქვა გიორგიმ.

ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, ჩვენმა შოფერმა სოლომონ გელაშვილმა წამოიყვირა:

— მგლები! აბა წინ გახედეთ.

პირველ წამებში ვერაფერი დავინახეთ, ქარისაგან ახეტილ მტვერში არაფერი ჩანდა, შემდეგ კი, როცა

ცხრაჯერ ეკვატორის ირგვლივ

ნოვო-კრამატორის სტალინის სახელობის მანქანათა სამშენებლო ქარხნის ძირითადი პროდუქციაა მძლავრი საგლინავი დაზგები.

ახლა წარმოებაშია უწყვეტი თხელფურცლოვანი დაზგა „2500“, რომელიც ყველაზე მაღალი შრომის ნაყოფიერებიანი მანქანაა მსოფლიოში. ის შედგება 300 ცალკეული კვანძისაგან, რომელთა დასადგმელადაც საჭირო იქნება ერთი კილომეტრის სიგრძის საამქროს აშენება.

დაზგა „2500“ გაგლინავს 1,5-12 მილიმეტრი სისქის ფოლადის ზოდს 12 მეტრის სისწრაფით წამში. თუ ამ დაზგის მიერ ერთ წელიწადში გაგლინულ ფოლადს ერთ ზოდად შევაერთებთ, შესაძლებელი იქნება იგი ცხრაჯერ შემოვავლოთ დედამიწას ეკვატორის ირგვლივ.

ქართული პრესის ისტორიის ამსახველი გამოფენა

მეცნიერება და ტექნიკა

მსოფლიოში უდიდესი

შვიდწლედის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ჩვენი ქვეყნის სათბობი ბალანსის შეცვლა ყველაზე მეტად ეკონომიური სათბობთა მოპოვებისა და წარმოების გზით. სწორედ ასეთი სათბობია გაზი.

უსბეკეთში, ბუხარას მხარეში აღმოჩენილია გაზის მძლავრი საბადოები, რომელთაც მეტად დიდი სახალხო სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ. ისინი საშუალებას იძლევიან შეიქმნას ამ რესპუბლიკაში გაზის ისეთი წარმოება, რომელიც უზრუნველყოფს არა მარტო შუა აზიის დიდ ნაწილს, არამედ ურალის უდიდეს ცენტრებსაც.

ბუნებრივი საბადოების მაქსიმალურად გამოყენებასთან ერთად მოეწყობა გაზის წარმოება ადგილობრივი იაფი ქვანახშირისაგანაც. ამ მიზნით ანგრენის ქვანახშირის საბადოებში შენდება გაზის მიწისქვეშა გაზიფიკაციის მსოფლიოში უდიდესი სადგური, მისი შრომის ნაყოფიერება იქნება 2,8 მილიარდი კუბური მეტრი გაზი წელიწადში.

ზღვის წყალი მხედველობას ამახვილებს

ფილატოვის სახელობის თვალის ინსტიტუტში ზღვის წყლისაგან მიიღეს პრეპარატი, რომელიც გამოიყენება მაღალი სიზეცისა და პიგმენტური რეტინიტის მკურნალობის დროს. ასეთი პრეპარატით მკურნალობის პროცესი მეტად მარტივია. კანქვეშ ამ პრეპარატის პირველივე შეშხაპუნების შემდეგ მხედველობა საგრძნობლად უმჯობესდება. სამკურნალო კურსი სულ 9 შეშხაპუნებას მოითხოვს. მიმდინარეობს კლინიკური დაკვირვებანი ზღვის წყლის ორგანული ნაწილებისაგან მიღებულ სხვა პრეპარატებზეც. ეს პრეპარატი დიდად უწყობს ხელს მხედველობითი ნერვის ატროფიის მკურნალობას.

სწრაფმავალი ფარი

მოსკოვის ახლომდებარე ქვანახშირის აუზის მაღაროელებმა მიიღეს ახალი შესანიშნავი მანქანა — მექანიზებული გამთხრელი ფარი „აშჩმ-4“, რომელიც რთულ გეოლოგიურ პირობებში თხრის ჰორიზონტალურ შრეებს. მანქანა დაპროექტებული და დამზადებულია ქვანახშირის წარმოების მანქანათმშენებლობის უწლოვის ქარხანაში.

ფარი ყველა გამთხრელი სამუშაოს სრული მექანიზმების საშუალებას იძლევა. ანგრევს ქანებსა და ქვანახშირის შრეებს სანგრევში, ხვეტავს და ტვირთავს ქვანახშირს ვაგონეტებში, ასაწულებს ყველა დამხმარე გამთხრელ ოპერაციას. გათხრასთან ერთად იგი აწარმოებს განათხარის გამაგრებას რკინაბეტონის ბლოკებით. ფარის სიგრძე 47 მეტრია, წონა 110 ტონა. ფარით თხრის საპროექტო სიხშირეზე 330 სიგრძივი მეტრია თვეში ორცვლიანი მუშაობის დროს, თუ განათხარის დიამეტრი 4 მეტრია.

აკაკი წერეთლის მხატვრული პროზა

ბიბლიოგრაფია

...ბატკანი, ნამატი შენარჩუნებულია მთლიანად.

გორისციხელებმა მოწინავე მცნობარი მწყემსი ჯემალ ელოშვილი რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

კარგი დოლი მწყემსების სიამაყე და ჭეშმარიტი სიხარულია. დოლმა უნდა შეაჯამოს მათი ვაჟკაცური შრომის შედეგი, დოლმა ერთიორად უნდა ამრავლოს ცხვარი, გახარებული და შრომისაგან დაღლილი მწყემსები ხანდახან თითო ჭიქაზეც არ ამბობენ უარს.

ახლაც, გორისციხელთა ბინაში რომ ვიყავით, მწყემსურ ვახშამზე თავჩობანმა ეულიამ ასე დალოცა თავისი მეგობრები:

— ჯერ მყინვარწვერზე ცხვარი არავის ეურეკია, არც არავის გაუკვეთია. მანამ იცოცხლეთ, სანამ მყინვარწვერზე გასუქებული ცხვრის მწვადები არ გეჭამოთ...

ბირუზიაკზე, დუშეთის რაიონის სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის ბინაში, დილით ადრე ახალგაზრდა ბრიგადირს შაქრო მელიქიშვილს შეეხვდით. დოლის ამ დაძახილ დღეებში შაქროს წვეი წამიზრდოდა, ბუნებით მხიარული კაცი რაღაც უბუნებოდ იყო, სახეზე იდუმალი დარდის ნიშანი გადაჰკრავდა.

— რას დაღრეჯილხარ? — შეეკითხა ფერმის გამგე, მაღალი და მხრგანიერი ვაჟკაცი მათე მოთიშვილი.

— გუშინ ღამით ერთი ცხვარი დაშეღუპა მშობიარობის დროს, — აღმოხდა დარცხვენილ შაქროს.

სხვა ვინმეს ეს ამბავი რომ დამართოდა, მათე საკადრის პასუხს გასცემდა, მაგრამ ახლა სტუმრების წინაშე დარცხვენილ მწყემსს გამხნევება სჭირდებოდა და არა საყვედური. ამიტომაც უთხრა მოთიშვილმა მხიარულად:

— ბიჭო, ცხვარი კი არა, კაცი იღუპება, რა იყო მერე...

— თქვენი არ ვიცი და მე კი ქარგახანს მეყოფა სირცხვილად, — ჩაილაპარაკა შაქრომ.

...შემოვიარეთ ყაზბეგის, დუშეთის, ლენინგორის რაიონების კოლმეურნეობათა ცალკეული ფერმები, ვესაუბრეთ თდნელებს, ჯაელებს. დოლი ყველგან წარმატებით მიმდ

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში მიღებული და ყუოადღებით შესწავლილია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ფამ ვან დონგის 4 თებერვლის წერილი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩენ ის 1959 წლის 19 თებერვლის წერილი, რომელიც ეგზავნება ინდოჩინეთის საკითხთა ჟენევის თათბირის ორ თავმჯდომარეს.

წერილებში ყურადღება ექცევა ლაოსის პასუხისმგებელ სახელმწიფო მოღვაწეთა, აგრეთვე ლაოსის შესახებ ჟენევის შეთანხმებათა ერთ-ერთი მონაწილის — ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოქმედებასა და განცხადებებს, რომლებიც არ ეთანხმებიან აღნიშნულ შეთანხმებათა შინაარსსა და ფორმას.

როგორც წერილებშია აღნიშნული, ლაოსში შეაქვთ დიდძალი ამერიკული იარაღი და საომარი მასალა, იქ გაიგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო პერსონალის მნიშვნელოვანი ჯგუფი. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აშკარად აქეზებს ლაოსის მთავრობას დაარღვიოს ჟენევის შეთანხმებანი ლაოსის შესახებ და მხარს უჭერს მის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია აღნიშნულ შეთანხმებებზე უარისთქმა. ლაოსის პრემიერ-მინისტრმა 11 თებერვალს გაილაშქრა ლაოსში სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიის საქმიანობის განახლების წინააღმდეგ.

ყველა ეს მოქმედება და განცხადება, აღნიშნულია წერილებში, მოწმობენ აგრესიული ძალების მისწრაფებას ლაოსი გადააქციონ უცხოეთის სამხედრო ბაზად და იარაღად ინდოჩინეთის რაიონში დაძაბულობის შესაქმნელად, ლაოსის მეზობელ სახელმწიფოებში მშვიდობისათვის ძირის გამოსათხრელად.

საბჭოთა მთავრობა სავსებით იზიარებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა შეშფოთებას ლაოსის რაიონში შექმნილი მდგომარეობის გამო, რომლის განვითარება სერიოზულად უქმნის საფრთხეს ინდოჩინეთის ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას.

საბჭოთა მთავრობამ, რომელიც წარმოადგენს ინდოჩინეთის საკითხთა ჟენევის თათბირის ერთ-ერთ თავმჯდომარეს, ნოტა გაუგზავნა დიდი ბრიტანეთის მთავრობას, რომელიც წარმოადგენს მეორე თავმჯდომარეს. ამ ნოტაში მოთხოვნილია, რომ ორმა თავმჯდომარემ მიმართოს ლაოსის საკითხთა საერთაშორისო კომისიას თხოვნით რაც შეიძლება მალე განაახლოს თავისი პრაქტიკული საქმიანობა ლაოსის შესახებ ჟენევის შეთანხმებათა შესრულებისადმი მეთვალყურეობისა და კონტროლის დარგში.

ელოდებიან ინგლისის მხარის პასუხს.

გამოხმაურება ინგლისში გაღდადის პაქტიდან ერაყის გასვლის გამო

ლონდონი, 26 მარტი. (საკდესი). გუშინ პრესკონფერენციაზე ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, უპასუხა რა ჟურნალისტთა შეკითხვებზე ბაღდადის პაქტის პერსპექტივების შესახებ პაქტიდან ერაყის გასვლასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობას განზრახვა აქვს კვლავაც „განამტკიცოს" ეს პაქტი.

ამავე დროს მან განაცხადა, რომ ინგლისი „წინანდებურად ისწრაფვის კარგი ურთიერთობა ჰქონდეს ერაყთან".

საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა შემდეგ უარი თქვა კონკრეტულად გაეცა პასუხი შეკითხვაზე ერაყის ტერატორიაზე ჰაბანიაში ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზის მომავლის შესახებ. მან მხოლოდ აღიარა, რომ ამჟამად ამ საკითხს „განიხილავენ". როგორც განუცხადეს კორესპონდენტს ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან დაახლოებულ ჟურნალისტთა წრეებში, „ინგლისს როგორც ჩანს, უახლოეს ხანში მოუხდება შეურიგდეს ამ ბაზის დაკარგვას, თუ ერაყის მთავრობის პოლიტიკის საერთო მიმართულება უცვლელი დარჩება".

საბჭოთა ელჩის განცხადება კამბოჯაში

პნომ-პენი, 26 მარტი. (საკდესი). სსრ კავშირის ელჩმა კამბოჯაში ბ. ს. ანიკინმა 24 მარტს ინახულა კამბოჯის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პრინცი ნოროდომ სიანუკი იმასთან დაკავშირებით, რომ კამბოჯის სამეფო მთავრობამ სიემ-რეაპში 26 თებერვალს განცხადება გააკეთა კამბოჯის საშინაო საქმეებში უცხოეთის ჩარევის ფაქტების შესახებ, და საბჭოთა მთავრობის სახელით გააკეთა განცხადება.

საბჭოთა მთავრობას, ნათქვამია განცხადებაში, საჭიროდ მიაჩნია ზუსტად იქნას დაცული ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის შეთანხმებათა პირობები, რომლებიც ადასტურებენ კამბოჯის სახელმწიფო დამოუკიდებლობასა და მის მიერ რომელიმე სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებებში მონაწილეობის მოუღებლობას.

საბჭოთა ხალხი და საბჭოთა მთავრობა დიდი სიმპათიით ეპყრობიან კამბოჯის თავისუფლებისმოყვარე ხალხისა და მთავრობის მამაცურ ბრძოლას იმპერიალისტური სახელმწიფოების ზრაკების წინააღმდეგ.

დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, რომელსაც კამბოჯის მთავრობა ახორციელებს, აღნიშნულია განცხადებაში, გაგებასა და ფართო მხარდაჭერას პოულობს.

გუანჯოუში გაიხსნა საბჭოთა გამოფენა

პეკინი, 25 მარტი. (საკდესი). ჩინეთის დიდ ქალაქ გუანჯოუში დღეს გაიხსნა საბჭოთა სამეცნიერო-ტექნიკური გამოფენა, მიძღვნილი ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენებისადმი. გამოფენის ცხრა პავილიონში, რომლებიც განლაგებულია ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საქალაქო სასახლის შენობაში, წარმოდგენილია სხვადასხვა მანქანები და ხელსაწყოები, მაკეტები და დიაგრამები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა კავშირის მიღწევებსა და მდიდარ გამოცდილებას ატომის ენერგიის გამოკვლევასა და მის გამოყენებაში მშვიდობიანი მიზნით.

გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით გამოცემულია ბროშურები საბჭოთა კავშირში ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების ცალკეულ საკითხებზე. გამოფენის მუშაობის პერიოდში — ორი თვის განმავლობაში — ქალაქის ყველა კინოთეატრში უჩვენებენ დოკუმენტალურ და სასწავლო ფილმებს, მიძღვნილს ატომური ენერგიის გამოყენებისადმი მრეწველობაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, აგრეთვე მეცნიერულ-კვლევითს მუშაობაში.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის პირველი დამფუძნებელი კონფერენციის დელეგატთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): სპორტის ოსტატი ლ. ანთაძე (თბილისი), სპორტის ოსტატი ლ. ტუღუში (ბათუმი), სპორტის ოსტატი მ. ტუღუში (ბათუმი), სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ბალავაძე (თბილისი), სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ღოღობერიძე (თბილისი), პირველი თანრიგის სპორტსმენი მ. კრაინიუკოვა (ხოსუმი), მეორე თანრიგის სპორტსმენი ც. ამაშუკელი (ხაშური), სპორტის ოსტატი რ. ტრაპაიძე (თბილისი) და პირველი თანრიგის სპორტსმენი ა. პაპბა (სოხუმი).

ფოტო კ. კრიმსკისა.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკიდან გაემგზავრა ინდოეთის პრეზიდენტი პრასადი

ჰანოი, 25 მარტი. (საკდესი). ინდოეთის პრეზიდენტი რაჯენდრა პრასადი, რომელიც სამი დღის განმავლობაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, დღეს დილით გაემგზავრა ლაოსის დედაქალაქ ვიენტიანში.

აეროდრომზე სტუმარი გააცილეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა, პრემიერ-მინისტრმა ფამ ვან დონგმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ხო ში მინმა და რაჯენდრა პრასადმა ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით. შეეხო რა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ინდოეთის პრეზიდენტის ყოფნის შედეგებს, ხო ში მინმა აღნიშნა: „ჩვენს საუბრებში ჩვენ ერთსულოვანი ვართ ბევრ საკითხში, კერძოდ, იმ საკითხში, რომ საჭიროა დღითიდღე განმტკიცდეს და განვითარდეს მეგობრობა აზიისა და აფრიკის ხალხებს შორის, მათ შორის ჩვენი ორი ქვეყნის ხალხებს შორის".

პრასადმა მხურვალე მადლობა გადაუხადა ხო ში მინსა და ვიეტნამელ ხალხს გულთბილი სტუმარმოყვარეობისათვის და უსურვა ვიეტნამელ ხალხს წარმატებანი ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში.

„ჩემი ქვეყნის ხალხს, — თქვა პრასადმა, — დიდი პატივისცემა აქვს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხისა. იმედი მაქვს, რომ ჩვენს ორ ქვეყანას შორის არსებული ძმური გრძნობები კიდევ უფრო განმტკიცდება".

უცხოეთის ქრონიკა

◆ 25 მარტს ლიბანისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონის საზღვარზე ძობდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერისა და ლიბანის პრეზიდენტ ფუად შეჰაბის შეხვედრა.

ადგილობრივ ჟურნალისტთა წრეებში ფიქრობენ, რომ ამ შეხვედრის დროს გაახილულ იქნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ლიბანის ურთიერთობა, აგრეთვე მთელი რიგი საერაბოროტო პრობლემები, რომლებიც ეხება არაბთა ქვეყნებს მსოფლიო დონეზე.

◆ 25 მარტს ერაყის უმაღლეს სამხედრო სასამართლოში დაიწყო პროცესი მოსულში მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულებისა და ამბოხების მონაწილეთა საქმის გამო.

სასამართლოს წარუდგნენ: სამხედრო-საჰაერო ძალების პოლკოვნიკი აბდულა ნაჯი, სამხედრო-საჰაერო ძალების მაიორი კასემ ალ აზავი, სამხედრო-საჰაერო ძალების ლეიტენანტები ამმედ მაჰიდ აშური და ფადილ ნასერი.

სახელმწიფო ბრალმდებელმა გენერალურმა სამხედრო პროკურორმა ამინმა ყველა დამნაშავისათვის სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილი მოითხოვა.

◆ კანადის მუშათა პროგრესული პარტიის ეროვნულმა აღმასკომმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც პროტესტს აცხადებს კანადის მთავრობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ნება დაერთოთ აშენონ ნორტ-ბეიში (ონტარიოს პროვინცია) და მონტ-ლორში (კებეკის პროვინცია) ბაზები ამერიკის მართული ყუმბარებისათვის.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის პრესკონფერენცია

ვაშინგტონი, 25 მარტი. (საკდესი). პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა დღეს პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ უმაღლესი დონის თათბირის მოწყობა გამართულებული უნდა იყოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის პროგრამით, მან განაცხადა აგრეთვე, რომ არ გაიღაშქრებს მთავრობათა მეთაურების შეხვედრების სერიების მოწყობის წინააღმდეგ, თუ შეიქმნება ხელსაყრელი ვითარება.

ეიზენჰაუერმა თქვა, რომ საზავო ხელშეკრულების ხელმოწერა სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის თავისთავად არ მოახდენს გავლენას სსრ კავშირთან უმაღლესი დონის მოლაპარაკების პერსპექტივებზე, რადგან არ შეეხება დასავლეთის სახელმწიფოთა „უფლებებს" გერმანიის მიმართ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში პრემიერ-მინისტრ მაკმილანის მოლაპარაკების გამო

ლონდონი, 25 მარტი. (საკდესი). როგორც საკდესის კორესპონდენტს ინგლისის ოფიციალურ წრეებში განუცხადეს, ვაშინგტონიდან მიღებული პრესის ცნობებით, რომ პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა თითქოს შეიცვალა პოზიცია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ და ახლა ირჩევა მისი ცნობისაკენ, აგრეთვე, რომ მაკმილანმა შეიცვალა პოზიცია „ერთმანეთისაგან მოწყვეტის" პოლიტიკის საკითხებში, სწორი არ არის.

თურქეთი საზიფათო გზაზე

ამას წინათ თურქეთის დედაქალაქ ანკარაში ხელი მოაწერეს ამერიკა-თურქეთის ორმხრივ სამხედრო შეთანხმებას. მისი ხელმოწერის წინადღეს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი უოლეი ანკარიდან იუწყებოდა, რომ ეს ახალი პაქტი თურქეთში ამერიკული სამართავი ყუმბარებისა და რაკეტების განლაგებას ითვალისწინებს და „ახალრის მთავრობამ უკვე განაცხადა, რომ თანახმაა მისცეს ბაზები ასეთი იარაღისათვის". საინტერესოა სტამბოლის გაზეთ „ხავადისის" ცნობებიც. ეს გაზეთი აღნიშნავდა, რომ ორმხრივი შეთანხმების მიხედვით თურქეთის არმია აღჭურვილი იქნება შორეული მოქმედების რაკეტებით.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ამერიკა-თურქეთის შეთანხმება მოწოდებულია კიდევ უფრო გააძლიეროს თურქეთის მილიტარიზაცია და გადააქციოს იგი ამერიკის სამხედრო ბაზად ახლო და შუა აღმოსავლეთში. ასეთ მდგომარეობამდე მიიყვანა თურქეთი მისი მმართველი წრეების პოლიტიკამ ომისშემდგომი წლების მანძილზე.

თურქეთი მონაწილეობს ისეთ აგრესიულ სამხედრო ბლოკებში, როგორიც ნატო და ბაღდადის პაქტია, და უკვე დიდი ხანია გამალებით იარაღდება. ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, მას ახლა ჰყავს 22 ქვეითი დივიზია, 6 სატანკო ბრიგადა, აგრეთვე ცხენოსანი ბრიგადები, რომელთა პირად შემადგენლობაში 400 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერია. „ნატოს არც ერთ სახელმწიფოს, — წერს თურქული გაზეთი „ენი გიუნი", — არა ჰყავს შეფარდებით ისე დიდი არმია, როგორც თურქეთს". ამ არმიის ფაქტიურად განაგებს პერსონალი ამერიკელი სამხედრო მრჩევლებისა, რომელთა რიცხვი 3 ათასს აღემატება. თურქეთის ტერიტორიაზე განლაგებული არიან აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ქვეგანყოფები, რომლებიც ნატოს სამხრეთ ევროპის დაჯგუფებაში შედიან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის სამხედრო ხრეოს თურქეთში ისე უჭირავს თავი როგორც კოლონიაში: თურქეთის იუსტიციის მინისტრის ცნობით, მარტო 1954-დან 1958 წლამდე ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურეებმა თურქეთში სისხლის სამართლის 252 მძიმე დანაშაული ჩაიდინეს.

თურქეთში ფართოდ არის განვითარებული სამხედრო-სტრატეგიული მშენებლობა. ამ ქვეყანაში, როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი" იუწყებოდა, თერმიტი საავიაციო ბაზაა, რომლებიც ნატოს განკარგულებაშია. ერთ-ერთ მათგანს — ადანს, რომელიც თურქეთის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს, შორშან ზაფხულში იყენებდნენ ამერიკის ჯარების გადასაყვანად ლიბანში. მთელი რიგი აამხედრო ბაზები შენდება შავი ზღვის სანაპიროზე.

თურქეთის სამხედრო მზადება მისი ეროვნული შემოსავლის უდიდეს ნაწილს ხთქამს. მაგალითად, 1958-59 საფინანსო წლის ბიუჯეტში სამხედრო საჭიროებათა ასიგნებულია 944,8 მილიონი თურქული ლირა, მაშინ როცა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებისათვის შესაბამისად ასიგნებულია 134,9 და 22,3 მილიონი ლირა.

მილიტარიზაცია დამღუპველ გავლენას ახდენს თურქეთის სეზონო მდგომარეობაზე. თურქეთის 16 ათას სოფელში დღემდე არ არის სკოლა, მეჯლისის სხდომაზე პროფესორ ფეზიოღლუს განცხადების თანახმად, დაახლოებით მილიონ თურქ ბავშვს შესაძლებლობა არა აქვს სკოლაში იაროს.

მთელი რიგი წლების მანძილზე თურქი ხალხის ცხოვრების დონე კატასტროფულად ეცემა. ვაჭრობის სამინისტროს ბიულეტენის მონაცემებით, ცხოვრების ღირებულება თურქეთში ომამდელ დონესთან შედარებით 523 პროცენტით გადიდდა. მარტო 1958 წელს ცხოვრება სტამბოლში გაძვირდა 35 პროცენტით. ხოლო ანკარაში — 59 პროცენტით. თურქეთ გაზეთ „ჰიურიეთის" ცნობით თურქეთმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა სიძვირის ზრდის ტემპებით.

სიძვირის სწრაფი ზრდა, მოსახლეობის მყიდველობითი უნარის კატასტროფული დაცემა მკვეთრად აძაბრებს თურქეთის სამრეწველო ბაზრის ტევადობას. რაც იწვევს ეკონომიკის სამშვიდობო დარგების შეკვეცას და მასობრივი უმუშევრობის ზრდას.

ეგეოსის რაიონის სამრეწველო პალატის თავმჯდომარემ ქიბარმა ამას წინათ იზმირში პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ თურქეთის საფეიქრო მრეწველობაში მწიფდება კრიზისი, რომელიც ყველაზე დიდი იქნება 1929-33 წლების შემდეგ. თურქული პრესის მონაცემებით, ამჟამად დახურეა ემუქრება სტამბოლის საფეიქრო საწარმოთა 70-მდე პროცენტს.

თურქეთის ეკონომიური მდგომარეობა უარესდება იმის გამო, რომ იზრდება ამ ქვეყნის დამოკიდებულება უცხოეთის, უმთავრესად ამერიკის მონოპოლიებისაგან. თურქეთის საერთო დავალიანებამ უცხოეთისადმი მიაღწია ასტრონომიულ ციფრს — 13 მილიარდ ლირას; ვალების დასაფარავად თურქეთი ექსპორტით მიღებული შემოსავლის 42-მდე პროცენტს ხარჯავს.

უკანასკნელ 10 წელიწადში შეერთებულმა შტატებმა თურქეთს ეგრეთწოდებული „ეკონომიური და ტექნიკური დახმარების" წესით 800 მილიონამდე დოლარი (2,26 მილიარდი ლირა) მისცეს. ამავე დროს თვით თურქეთმა სამხედრო საჭიროებებზე დახარჯა 8 მილიარდი ლირა. ამერიკული „დახმარების" ნამდვილი ხასიათის დამჯერებელ ილუსტრაციას წარმოადგენს კრედიტი, რომელიც ამას წინათ მიეცა თურქეთს 234 მილიონი დოლარის ოდენობით. ამ თანხის თითქმის 70 პროცენტი ამა თუ იმ ფორმით დაიხარჯება სამხედრო მიზნებისათვის და, კერძოდ, სამხედრო-სტრატეგიული მშენებლობისათვის.

გარდა ამისა, დოლარულ „დახმარებას" შეერთებული შტატები თურქეთის ეკონომიკაში ამერიკის კაპიტალის გაძლიერებული შეღწევისათვის იყენებენ. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებენ ამერიკის შეერთებული შტატების ნავთობის მეფეები.

ამერიკის შეერთებული შტატების ნავთობის 10-მეზ. მეტი კომპანია ეწევა ამჟამად ნავთობის ძიებას თურქეთის ტერიტორიაზე. ამერიკულმა კომპანიამ „ვან ამერიკენ ლენდ ოილმა" მიიღო 1 მილიონი აკრი საერთო ფართობის კონცესია თურქეთის ნავთობის მოპოვების ძირითადი ცენტრების რაიონში. დიდი კონცესია აქვს კომპანია „მობილ ოილ ოფ აფრიკას", რომელიც ნავთობის სამრეწველო მოპოვებას იწყებს ადანის რაიონში.

თურქეთის ეკონომიკას დიდ ზიანს აყენებს არაეквივალეტური გაცვლა, რომელიც მას თავს მოახვიეს ამერიკის მონოპოლიებმა. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების წლად ოდის თურქეთიდან ქრომის მადნის გატანის 70 პროცენტი, მაგრამ ამ მადნის ფასები ნიუ-იორკის ბირჟაზე იმდენად შემცირებულია, რომ ძლივს ფარავს მის თვითღირებულებას.

თურქეთის მოსახლეობაში იზრდება მმართველი წრეების პოლიტიკით უკმაყოფილება და ოპოზიციური განწყობილები, ეროვნულფრონტი იბრძვიან ამ განწყობილების წინააღმდეგ და აძლიერებენ რეპრესიებს. 1954-დან 1958 წლამდე საყოფნილეში დაამწყვდიეს, კერძოდ, 238 ჟურნალისტი. მაგრამ ასეთი ღონისძიებები ვერ ჩაახშობს პროტესტის ხმებს მმართველი წრეების ძიერ ქვეყნის ეროვნული ინტერესების ჩახლობის წინააღმდეგ. თურქეთის საზოგადოებრიობის განსაკუთრებით დიდ უკმაყოფილებას იწვევს ამერიკის „დახმარების" კაბალური პირობები. „ჩვენ რომ ყოველთვის უცხოეთის სახელმწიფოებს ვუწყდით ხელს, დაგვეხმარეთო, — წერდა ამას წინათ გაზეთი „ენი გიუნი", — მოწმობს იმას, რომ ჩვენ ყალბ და სახიფათო გზაზე ვდგავართ. ჩვენ ამერიკელებისაგან კი არ უნდა ველოდეთ დახმარებას, არამედ უწინარეს ყოვლისა თვითონ უნდა დავეხმაროთ ჩვენს თავს". თურქეთში სულ უფრო ხმამაღლა გაისმის პროტესტი ამერიკა-თურქეთის სამხედრო შეთანხმების წინააღმდეგაც. თურქეთის ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს ეს შეთანხმება მიაჩნია იმის საფრთხედ, რომ თურქეთს ჩაითრევენ ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე რეაქციული და აგრესიული წრეების უაღრესად საშიშ ავანტიურებში.

თურქეთის ახლანდელი საგარეო-პოლიტიკური კურსი ეწინააღმდეგება მის ეროვნულ ინტერესებს და ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობის საქმეს.

ვლ. ლინოვი.

საგანგებო ფიგნის კვირეული

ამჟამად საგაზაფხულო არდადეგებთან დაკავშირებით რესპუბლიკაში მიმდინარეობს საბავშვო წიგნის კვირეული. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წიგნით ვაჭრობის რესპუბლიკურმა კანცელარიამ საქწიგნმა კვირეულისათვის გამოსყო 500.000 მანეთის საბავშვო ლიტერატურა ქართულ და რუსულ ენებზე.

თბილისში ორ ადგილას — პიონერთა და მოსწავლეთა სასახლისა და რკინიგზელთა სახლის წინ მოწყობილია საბავშვო ლიტერატურის დიდი ბაზრობა. აქ მარტო 3-4 დღეში გაიყიდა 150.000-ზე მეტი მანეთის ლიტერატურა.

წიგნის მაღაზიებმა მოაწყვეს საბავშვო წიგნის ვიტრინები და განყოფილებები. ყოველდღე გამოაქვთ 7-8 ახალი სახელწოდების ლიტერატურა, მათ შორის დიდი რაოდენობით გაიყიდა ჯაჯა-ფშაველას საბავშვო მოთხრობები, ქართული ხალხური ზღაპრები, ი. გრიშაშვილის ლექსების კრებული, ი. აბაშიძის პოემა „რას გადაურჩა თბილისი" და სხვა.

საქწიგნმა ქალაქის განაპირა უბნების მომსახურებისათვის გამოსყო სპეციალური მოძრავი ავტოფარდულები, რომლებიც ჰყიდიან წიგნებს. ამ დღეებში ერთი ასეთი ავტოფარდული 80.000 მანეთის წიგნებითა და სასწავლო ნივთებით გაიგზავნა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის იმ რაიონებში, სადაც ქართველი მოსახლეობაა.

პიონერთა სასახლეებსა და სახლებში, ბიბლიოთეკებში კვირეულის განმავლობაში ეწყობა ლიტერატურული დილები, მოწყობილია წიგნის სპეციალური კუთხეები.

კვირის წიგნის № 5, № 1 და სხვა მაღაზიებში საბავშვო მწერლები შეხვდებიან ნორჩ მკითხველებს, დიეხმარებიან მათ ლიტერატურის შერჩევაში.

წიგნის ბაზარი თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის წინ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სპორტის ამბები

ა. ლეჟავას 36 ქულა

საქართველოსა და კაუნასის პოლიტექნიკური ინსტიტუტების კალათბურთელ ვაჟთა გუნდების შეხვედრა ზამთრის საკავშირო შეჯიბრების ფინიშთან სპორტის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევდა. ეს ასპარეზობა გაიმართა გუშინ თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში.

პირველი ტაიმი მეტწილად სტუმართა უპირატესობით მიმდინარეობდა და თამაშიც მათ მიჰყავდათ ქულათა მცირე განსხვავებით. მე-14 წუთზე თბილისელებმა გაათანაბრეს ანგარიში (20 : 20), მაგრამ ამით ბრძოლაში გარდატეხის შეტანა ვერ შეძლეს და წაგებეს შეჯიბრების პირველი ნახევარი 32 : 36.

სულ სხვა სურათი გადაიშალა მეორე ტაიმში. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებმა განავითარეს ტემპიანი და მაღალტექნიკური თამაში, ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, ხოლო შემდეგ ბრძოლას თვითონ ჩაუდგნენ სათავეში. ანგარიში თანდათან იზრდებოდა, მაგრამ სტუმრები პოზიციებს როდი თმობდნენ, ისინი განსაკუთრებით მიზანს აღწევდნენ ბურთის შორიდან სროლით.

მსაჯის საფინალო სასტვენის ხმამ აღნიშნა თბილისელთა მორიგი გამარჯვება ანგარიშით 70 : 65.

ამ მატჩის გმირი იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენი ა. ლეჟავა, რომელმაც თავის კოლექტივს 36 ქულა შესძინა.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს 10 თამაშიდან 5 ქულა აქვს. დღეს გაიმართება მოსკოვისა და თბილისის კალათბურთელ ქალთა გუნდების შეხვედრა.

უძლიერესთა შეხვედრები

თბილისის სასპორტო საზოგადოება „განთიადის" დარბაზში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში. საქართველოს უძლიერეს სპორტსმენებთან ერთად გამოდიოდნენ ესტონეთის მაგიდის ჩოგბურთელები, მათ შორის სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი ე. ლესტალი, ი. მეეკსა და სხვ.

ვაჟთა პირად ასპარეზობაში უძლიერესი იყო ი. მეეკსა. საქართველოს წარმომადგენელმა ა. არუთინოვმა მესამე ადგილი დაიკავა. ქალთა შორის გამარჯვებული გამოვიდა ე. ლესტალი. ლ. იზაშვილმა მეორე ადგილი დაიკავა.

ქალთა და ვაჟთა წყვილებში, აგრეთვე შერეულ წყვილებში გამარჯვება მოიპოვეს საქართველოს სპორტსმენებმა — ლ. იზაშვილმა და ე. ხანთაძემ, დ. ასლანიანმა და ა. არუთინოვმა, ე. ხანთაძემ და გ. გრიგოლიამ.

რამდენიმე სტრიქონით

⊙ ქ. ორჯონიკიძეში დამთავრდა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ტყვიის მსროლელთა საკავშირო შეჯიბრება. ასპარეზობაზე წარმატებით გამოვიდა საქართველოს სპორტსმენი ვ. სალუქვაძე, რომელმაც პისტოლეტით სროლაში 600 შესაძლებლიდან 555 ქულა შეაგროვა და ჩვენი რესპუბლიკის ახალი რეკორდი დამყარა. ვ. სალუქვაძე შეუკვანილია „დოსაფის" ნაკრებ გუნდში.

⊙ გრძელდება ფრენბურთელთა უძლიერესი კოლექტივების ზამთრის ასპარეზობა. ვაჟთა გუნდებს შორის ლიდერობას ინარჩუნებენ სსრ კავშირის ჩემპიონი ცსკა მო და ოდესის „ბურევესტნიკი". ქალთა გუნდებს შორის წინ არიან მოსკოვის „დინამოსა" და „ლოკომოტივის", ლენინგრადის სკიფ-ისა და სხვა გუნდები.

⊙ მოსკოვში დამთავრდა საკავშირო ჩეკპაიონატი ფიგურულ ციგურაობაში. ჩემპიონები გახდნენ: ქალთა შორის ტ. ლიხაჩოვა, ვაჟთა შორის — ლ. მიხაილოვი, წყვილთა შორის — ნ. და ს. ჟუკები.

⊙ აპრილის შუა რიცხვებიდან დაიწყება „ბ" კლასის გუნდების ასპარეზობა ფეხბურთში. პირველ მატჩს ქუთაისის „ტორპედო" ჩაატარებს 18 აპრილს თავის მოედანზე „როსტოველელმაშთან", თბილისის სკკო 22 აპრილს თამაშობს ბაკოში „ნეფტიანიკთან", ხოლო თბილისის „ლოკომოტივი" ამავე დღეს თავის მოედანზე მიიღებს „როსტოველელმაშს".

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის უმაღლესს ქალაქებსა და რაიონებში დაიწყო მეორე გამოშვების ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების გაყიდვა

ლატარიის ბილეთები იყიდება ნაღდ ანგარიშზე შემნახველ სალაროებში, კავშირგაბმულობის დაწესებულებებში, მაღაზიებში, გაზეთის კიოსკებში, სტადიონებზე, პარკებში, თეატრებში, კინოთეატრებში, ვაგზლებში, რკინიგზის მატარებლებში და ნავმისადგომებზე.

მეორე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი გაიმართება ქალაქ ქუთაისში 1959 წლის 30 ივნისს.

ლატარიის სამმანეთიანი ბილეთით შეგიძლიათ მოიგოთ ავტომანქანა „ვოლგა", „მოსკვიჩი", საწოლი ოთახის გარნიტური, მოტოციკლი, პიანინო, ტელევიზორი და ბევრი სხვა ფასიანი ნივთი, აგრეთვე ფული 5.000 მანეთამდე.

შეიძინეთ ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო

საქართველოს სარეწაო საბჭოს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს დამხმარე საწარმოთა კომბინატის დირექცია აცხადებს ყველა ორგანიზაციისა და კერძო მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ კომბინატი თავის სახელოსნოებში ამზადებს კარებს, ფანჯრებს და სხვადასხვა სახის ავეჯს შემკვეთის მასალით, აგრეთვე ღებს დასახერხად ყველა ჯიშისა და ზომის ხის მორებს.

კომბინატის მისამართი: ქ. თბილისი, 26 კომისრის რაიონი, კახეთის გზატკეცილი № 23.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ემბრიოლოგიის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ეკანტურ თანამდებობაზე (ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი).

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის დირექციის სახელზე განცხადება და დებულებით გათვალისწინებული საბუთები (ორ-ორ ცალად).

კონკურსის ვადაა 30 დღე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

მისამართი: თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ციფერი მთის სიუჟეტი (დღისით, 1-ლი აბონემენტის მე-5 წარმოდგენა), ჩიო-ჩიო-სან (საღამოს, მე-13 აბონემენტის მე-6 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის** — ყვარყვარე თუთაბერი (დღისით და საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ტაიფუნი (დღისით), შავთვალა გოგონა (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — საქმოსანი (საღამოს), **სომხური დრამის** — სამკელ (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — აღლუმი (დღისით), სიმღერა თბილისზე (საღამოს) (რკინიგზელთა სახლში), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — რევოლუციის სახელ